პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1920 ▪ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ▫ 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 17 სექტემბერი 1978 წ. □ № 219 (17263) □ ფასი 2 კაპ.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

## ზესტაფონელ მევენახეთა წვლილი



□ იქნება 26.000 ტონა ყურძენი — საზოგადოებრივი მეურნეობიდან — 9.000 ტონა. საკარმიდამოდან — 17.000 ტონა

იმერეთში რთვლის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დარჩენილი, მაგრამ შრომის ამ დიდი ზეიმისათვის სამზადისი უკვე დავამთავრეთ. ახლა ხშირად დავდივართ ზვრებში და ყურძნის სიმწიფეში შესვლას ვაკვირდებით. ამინდი ნამდვილად სანატრელი დაგვიდგა. ცვრიან ღამეებს ზაფხულის თაკარა მზის მცხუნვარება ცვლის.

ამ დღეებში ხასიამოვნო განწყობა აქვთ მეურნეობათა თავკაცებს, მათ კოლექტივები შეაქვთ წინათ აღებულ ვალდებულებებში. უფრო მეტი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ. არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სულ ცოტა 2.200 ტონა ყურძენს მიჰყიდის სახელმწიფოს, სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — 900 ტონას, მეზობელი სტალინის სახელობის კოლმეურნეობა — 700 ტონას, ალავერდისა — 800 ტონას, ფუთისა — 700 ტონას, კლდეეთისა — 500 ტონას. საზოგადოებრივი სექტორიდან გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 1.000 ტონა ყურძენს მივიღებთ. სულ ზესტაფონელები 26.000 ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს, 9.000 ტონას საზოგადოებრივი მეურნეობებიდან, — 17.000 ტონას საკარმიდამო ზვრებიდან.

დასამალი როდია, რომ ჩვენთან ჯერჯერობით საკარმიდამო ნაკვეთებიდან უფრო მეტ ყურძენს ვღებულობთ. ამიტომ კოლმეურნეთა პირადი ზვრებიდან ყურძნის დამზადებას სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ. მისასალმებელია ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა მიერ გამოჩენილი ინიციატივა. მათ მოწოდებით მიმართეს რაიონის ყველა მევენახეს სახელმწიფო მარანში მიიტანონ საკარმიდამო ვენახებში მოწეული ყურძნის მთელი მოსავლის 90-95 პროცენტი. ამ ინიციატივას ბევრი მეზვრე გამოეხმაურა, მოიწონა — პირობა დადო, რომ საკუთარი მარჯვენით მოწეულ 8-9-10 ტონა ყურძენს მიჰყიდის სახელმწიფოს. მათ წასახალისებლად შემოღებული გვაქვს დაჯილდოების სხვადასხვა ფორმა. საკუთარი პრიზი დააწესეს რაიონულმა გაზეთმა „ლენინელმა" და სხვა ორგანიზაციებმა.

ტრანსპორტი და ყურძნის საზიდი ძარები ჩვენთან პრობლემა არაა. ყველაფერი კონვეიერულად ამოქმედდება. სრულ წესრიგშია მოყვანილი ზვრებში მისასვლელი გზები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძირულის, ილემის და წიფლავაკის კოლმეურნეობების ცალკეული ნაკვეთების ცუდად სავალ გზებს.

დამსახურებულ ქებას იმსახურებს „სამტრესტის" ღვინის მრეწველობის ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების კოლექტივის მუშაობა. დიდი შრომა გასწიეს „საქკვებრემშენის" ზესტაფონის სამმართველოს და „სამტრესტის" მექანიკური ქარხნის მშრომელებმა. გაერთიანების ყველა პირველადი გადამუშავების ქარხანაში დროულად დამთავრდა ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი. რეკონსტრუირებულია მეორე სვირის, კვალითის და ქვედა საზანოს ღვინის ქარხნების მიმღები განყოფილებები, მათი სიმძლავრე ყოველ 10 საათში 300 ტონით გაიზარდა.

რთველისათვის სანიმუშოდ მოემზადა ვაჭევის ღვინის ქარხანა. ის ფაქტი, რომ წელს აქ დამონტაჟდა 160 ათასი დეკალიტრის ტევადობის მომინანქრებული ცისტერნები, წარმოების უფროსის ზ. ალავიძის დიდ შრომაზე მეტყველებს. გარდა ამისა, მწყობრში ჩადგა 200 ტონიანი საკუპაჟე რეზერვუარები.

ერთი სიტყვით, მევენახეთა განწყობა კარგია და ეჭვი არ გვეპარება დანაპირების განაღდებაში.

ზ. მერკვილაძე,
საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

# რითაც უნდა იამაყო

ჩვენი პარტიის ფუძემდებლურ დოკუმენტებში გამოკვეთილია ძირითადი მიმართულებანი, — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური ურთიერთობის ჩამოყალიბება და ახალი ადამიანის აღზრდა. ვერც ერთს, ვერც მეორეს და ვერც მესამეს ვერ განვახორციელებთ, თუ მმართველობის სათავეში არ მოხვდნენ ნიჭიერი, ერუდირებული, გულმართალი და, რაც მთავარია, თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული ადამიანები, ისინი, ვინც წრფელი გულით და თავდადებით იღვწის იმისათვის, რომ თავისი გამოცდილება, ცოდნა და ენერგია მოახმაროს პარტიისა და ხალხის საქმეებს, ფრთა შეასხას ხუთწლედის მიზანდასახულობებს, თავგამოდებით ებრძოლოს დეკლარაციულობას, ფუჭსიტყვაობას, პირადი მაგალითი მისცეს ხელქვეითებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ზნეობრივი სიწმინდის და კომპეტენტურობის ამაღლებისათვის ყოველდღიურ ზრუნვაში.

ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის საქმიანობაში კადრების საკითხი გახდა ის ძირითადი რგოლი, რომელსაც უნდა განესაზღვრა, წინა პლანზე წამოეწია და გადაეწყვიტა მრავალი ცხოვრებისეული პრობლემა.

ჩვენს რესპუბლიკაში პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ სამუშაოზე, სახალხო მეურნეობის ბევრ უბანზე მრავლად დაწინაურდნენ ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან პრინციპულობით, მაღალი საშემსრულებლო კულტურით, სიახლისადმი სწრაფვით, კეთილსინდისიერებით. ხალხის სიბრძნესა და მახვილ თვალს არ გამოეპარება, ვინ როგორი სიბეჯითით, გატაცებით და პასუხისმგებლობით ცდილობს დადგეს იმ დროშასთან, რომლის ქვეშ დარაზმულია ჩვენი ხალხი რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. მისი მაღალი სახელისა და ავტორიტეტისათვის. მხოლოდ ცოცხალი, პრაქტიკული საქმისადმი ერთგულება და უანგარო შრომა აღიდებს მუშაკს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, აგრეთვე პარტიულ-სამეურნეო აქტივების ტრიბუნებიდან არაერთხელ გაისმა ქებისა და მადლობის სიტყვები იმ ხელმძღვანელებისა და მუშაკებისადმი, რომლებსაც დამსახურებულად აქვთ მოხვეჭილი პატივისცემა და ავტორიტეტი.

ახლა, როცა საბჭოთა საქართველო წერს თავისი ცხოვრების ახალ მატიანეს. მასში შესანიშნავი სტრიქონები შეაქვთ ჩვენს მოწინავე ადამიანებს, ჩვენს ახალგაზრდობას.

როდესაც მახარაძის რაიონში სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ახალგაზრდა აგრონომი ა. ტუღუში, ბევრს გაუკვირდა, რამდენად შეძლებდა ეს პირტიტველა ყმაწვილი ასეთი დიდი სოფლის თავკაცობას. თანაც ისეთი კოლმეურნეობის გაძღოლას, სადაც იყო დარღვევები, სერიოზული დამახინჯებანი, სახალხო ქონების დატაცების შემთხვევები. პარტიის რაიონული კომიტეტი მხარში ამოუდგა პერსპექტიულ სპეციალისტს, პრაქტიკულად დაეხმარა ახალ პასუხსაგებ უბანზე. და კოლმეურნეობაში ახლა სულ სხვა სურათია. მელექედურელები ამაყობენ, რომ ახალგაზრდა თავმჯდომარემ იმედი გაუმართლა, ხოლო კმაყოფილი კოლმეურნეები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავიანთი მაჩვენებლებით მხარი გაუსწორონ სახელგანთქმულ ნატანებლებს, თავიანთ კარის მეზობლებს.

ადამიანთა წინსვლის, მათი შემოქმედებითი შესაძლებლობის გამოვლინების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მორალურ მხარდაჭერას, ამიტომ ადამიანში კიდევ უფრო უნდა გავაღვივოთ კეთილშობილური, შრომისადმი დაუოკებელი მისწრაფების განწყობილება რაც, სამწუხაროდ, ყველას როდი ახასიათებს.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის შესანიშნავ ნაშრომში „აღორძინებაში" წერს: „დიდი შეცდომაა იფიქრო, თითქოს ადამიანს მარტო მატერიალური სტიმულები სჭირდებოდეს. არა. საბჭოთა ადამიანს ძალზე ბევრი რამ სჭირდება — დიდ საქმეში თავისი მონაწილეობის შეგნება, შრომაში თავის გამოჩენისადმი მისწრაფება, თავისი ოსტატობით გამოწვეული სიამაყე, ამხანაგების პატივისცემა და პატივი".

აღნიშნული სტრიქონები პირდაპირ მიესადაგება ჩვენს სახელგანთქმულ თბილისელ მშენებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ტრისტან ქართველიშვილს. რომლის მაღალ პიროვნულ ღირსებებს ფართო რეზონანსი მიეცა. ამ დღეებში მისმა საინტერესო გამოსვლამ ცისფერ ეკრანზე წარმოგვიდგინა არა მარტო მოწინავე მშენებელი, რომელსაც ცხოვრების დევიზად გაუხდია — ვაშენოთ ისე, რომ თაობებმა გვითხრან მადლობა, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, პიროვნება, რომელიც სწორად მსჯელობს ცხოვრების სოციალურ პროცესებზე და მზად არის მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ჯანსაღი ორგანიზმიდან „სოციალური წყლულების" მოშორების საქმეში.

არც ისე დიდი ხანია, რაც ქუთაისში ავტოქარხნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ცისანა ხანოძე. მან გაიარა ცხოვრების საუკეთესო გზა — მუშიდან ბამბეულის საქსოვი გაერთიანების გენერალურ დირექტორამდე. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მუყაითობით, პრინციპულობით, საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობით. ამიტომ იყო, რომ თანამოსაქმეებმა ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ XXV ყრილობის დელეგატად. მისი პირველი ნაბიჯები საბჭოს ხელმძღვანელობაში მტკიცეა, და უეჭველია, რომ შრომისმოყვარე ქალიშვილი აქაც იტყვის თავის გაბედულ სიტყვას.

უდავოა, რომ სხვადასხვა უბნებზე ახალი ადამიანების მოსვლამ, მათდამი პარტიული მომთხოვნელობის ამაღლებამ, სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებამ განაპირობა ის, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში თვალსაჩინო გახდა თვისებრივი ძვრები როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე ზნეობრივ სფეროში. მაგრამ ეს როდი გვაკმაყოფილებს. გაკეთებული დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომელიც მომავალში გველის. ჩვენ ძალზე გვაწუხებს, რომ ზოგიერთ შრომით კოლექტივში ირღვევა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, არის ნაკლოვანებანი მოსახლეობის ვაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამედიცინო, კომუნალურ მომსახურებაში. სადაც უნდა შევიდეს მშრომელი ადამიანი, უნდა გრძნობდეს ყურადღებას, პატივისცემას, გულისხმიერებას და ამის მაგალითს, ცხადია, უნდა იძლეოდეს თვით ხელმძღვანელი, კოლექტივის მეთაური.

ზოგან კონტროლის შესუსტების შედეგია, რომ კვლავ ვხვდებით ნაკლოვანებებთან ე. წ. „მშვიდობიანი თანაარსებობის" მანკიერ სტილს და ყავლგასულ ადათ-ჩვევებს, რომლებიც სულს უწამლავენ ადამიანებს. განსაკუთრებით ის არის სავალალო, რომ ცალკეულ შემთხვევებში თვით ხელმძღვანელებს შორისაც კი ვხვდებით ისეთებს, რომლებსაც ვერ დაუთმიათ მეშჩანური კომპრომისის პოზიციები.

პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო მეტად დიდმნიშვნელოვანი კამპანია — ანგარიშგება-არჩევნები. იგი უნდა გახდეს ჩვენი კადრების თვისებრივი შემოწმების საუკეთესო საშუალება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ მომენტს — ობიექტურად განვსაჯოთ, ჰყოფნით თუ არა მათ ცოდნა, ერუდიცია, გამოცდილება დღევანდელი მოთხოვნის მიხედვით და, მეორე, რამდენად მოწადინებული არიან ისინი ყველაფერი დათმონ საქმის ინტერესებისათვის, თავისი ხალხისა და რესპუბლიკის სახელისათვის.

სწორედ ამ პოზიციებიდან გაიზრდება, ამაღლდება მუშაკთა ავტორიტეტი, რომლის მთავარი კრიტერიუმი ის უნდა იყოს, თუ რა ღირებულებას ქმნი სამშობლოსათვის, პარტიისა და ხალხისათვის, რა კონკრეტული წვლილი შეგაქვს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მხოლოდ ამით შეგიძლია თავი მოიწონო და იამაყო!

# ხუთწლედის რიტმი

## ღირსეული საჩუქარი — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს

რესპუბლიკის მშრომელები დამკვრელური შრომით ხვდებიან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველ წლისთავს. საწარმოთა მოწინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორების პატრიოტულმა თაოსნობამ, რომლებმაც გადაწყვიტეს ვადამდე, ღირსშესანიშნავი თარიღისათვის შეასრულონ საწარმოო დავალებანი, ახალი იმპულსი მისცა სოციალისტურ შეჯიბრებას. სწორედ ამაზე გვესაუბრებიან საქინფორმის კორესპონდენტები.

თბილისი. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის საპატიო ნიშნის ორდენოსანი გ. გუბარევიჩის ბრიგადის მიერ 3.5 წლის დავალების შესრულება დაემთხვა ამ კოლექტივის კიდევ სამი წევრისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ პროდუქციას თავიანთი დამღა დაუსვან: ხარისხის წარჩინებული გახდა თორმეტივე. შემჩარხავი, მღარავი, სხვა პროფესიათა მუშები, რომლებიც ბრიგადაში შედიან. მათ შორის არიან თ. მურაჩაშვილი, პ. მამუჩერაშვილი, თ. ზარეკიძე.

გ. გუბარევიჩი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია; რომელიც ქარხანაში დაიწყო დევიზით „პირადი დამღიდან — ბრიგადულისაკენ". პროფესიული ოსტატობის ამაღლების, უფრო სრულყოფილი სამარჯვების გამოყენების, სამუშაო ადგილების უკეთესი ორგანიზაციის გზით ეს კოლექტივი სულ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევს.

გ. გუბარევიჩმა და მისმა ამხანაგებმა ბევრი საყურადღებო წინადადება შეიტანეს, რომლებიც ხელს უწყობენ მილის მრეწველობისათვის საჭირო სპეციალური ჩარხების დეტალების დამუშავების დაჩქარებას, მათი დამზადების შრომატევადობის შემცირებას. ეს ბრიგადას დაეხმარა ხუთწლედის დამლევამდე შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით გაედიდებინა.

ფოთი. ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში დაიწყო მუშაობა ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მეამწემ გივი გუგუშვილმა, რომელმაც 1974 წელს მიიღო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი დეპეშა მეცხრე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით.

მან ამ წარმატებას იმის მეოხებით მიაღწია, რომ შეუხამა ცალკეული პროცესები, უნარიანად მოუარა ტექნიკას, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. გ. გუგუშვილი, მაგალითად, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ერთ ციკლს ორჯერ ნაკლებ დროს ანდომებს, ვიდრე ნორმა ითვალისწინებს. ნავსადგურში მას უნივერსალურ მეამწეს უწოდებენ. შეუძლია ყოველი ტიპისა და კლასის ამწეთი მუშაობა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის აღზრდილი 20 წლის მანძილზე შეძენილ გამოცდილებას ხალისით უზიარებს ახალგაზრდობას.

ცხაკაია. იდგილობრივი ხალიჩის კომბინატის ახალგაზრდა მქსოველმა ეთერ გვარამიამ ხუთწლედის დამდეგიდან 30 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ხალიჩა მოქსოვა. ეს არის ხუთწლედის სამი წლის დავალება.

ეთერმა მაღალ ოსტატობას იმის მეოხებით მიაღწია, რომ ზუსტად გეგმავს საკუთარ შრომას, იმაღლებს კვალიფიკაციას სპეციალურ კურსებზე, იგი ბევრ ოპერაციას ნორმაზე გაცილებით უფრო სწრაფად ასრულებს.

მომავალი წლის ანგარიშში კომბინატში მუშაობს ოცდაათამდე ახალგაზრდა წარმოების მუშაკი. (საქინფორმი).

17 სექტემბერი ტყის მუშაკის დღეა

## ტყის მუშაკთა დღესასწაული

### მოსკოვი

პლანეტის ტყეების მეოთხედი ჩვენს ქვეყანაზე მოდის. საბჭოთა ადამიანები დიდ ყურადღებას უთმობენ მათს დაცვას, რაციონალურ გამოყენებას და აღდგენას. ყოველწლიურად მზადდება ასმილიონობით კუბური მეტრი მერქანი. რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გამოიყენება.

ტყის მუშაკის დღის მიეძღვნა საზეიმო სხდომა. რომელიც მოსკოვში გაიმართა 15 სექტემბერს. მოხსენება გააკეთა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მინისტრმა კ. ი. გალანშინმა. მან ილაპარაკა წარმატებებზე ტყის სიმდიდრისა და რეზერვების ზრდაში, რომლებიც სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის უნდა გამოიყენონ.

### თბილისი

15 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ტყის მუშაკის დღეს მიეძღვნა.

ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შ. ჭელაძემ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. გელდიაშვილი და ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ჟორჟოლიანი. (საქინფორმი).



ახალი წარმატებებით ხვდებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს საქართველოს სატყეო მეურნეობის მუშაკები. ისინი ფართოდ ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

ტყე ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უდიდესი სიმდიდრეა, ბუნების ბარაქაა. მწვანე მეგობარზე ზრუნვა, ტყეების გამრავლებისა და რაციონალური გამოყენებისათვის ზრუნვა — ეს არის ზრუნვა მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის და ამ საქმეს მუდამ უდიდეს ყურადღებას უთმობენ ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის მუშაკები, რომლებიც დღედაღამ ემსახურებიან ფლორისა და ფაუნის დაცვას.

ორმოც წელზე მეტია აჭარის ტყეებს იცავს ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე აკაკი ესებუა. ამ წლების მანძილზე მან თითქმის 500 ჰექტარზე დარგო ნერგები, ხუთწლედის მესამე წელს კი ახალი ფოთლოვანი ტყე გააშენა ექვს ჰექტარზე. იგი გულუხვად უზიარებს კოლეგებს თავის დიდ გამოცდილებას.

სურათზე: ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობის ჩაისუბნის სატყეოს უფროსი ტექნიკოსი აკაკი ესებუა (მარცხნივ) და მოწინავე მეტყევეები იაკობ ბიბილეიშვილი და და გივი მათითაშვილი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ა. ნ. კოსიგინი და უ. კ. კეკონენი პეტროზავოდსკში

პეტროზავოდსკი, 16 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, რომლებიც ფინეთის ფირმებთან თანამშრომლობით მშენებარე კოსტომუქშის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ, დღეს კარელიის ასს რესპუბლიკის დედაქალაქში ჩავიდნენ.

ვაგზალზე ა. ნ. კოსიგინსა და უ. კ. კეკონენს დახვდნენ რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელები, მშრომელთა წარმომადგენლები.

ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. მათ წუთიერი დუმილით პატივი სცეს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ხსოვნას. შემდეგ გვირგვინები მიიტანეს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

# მეგობრული შეხვედრა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე 16 სექტემბერს შეხვდა და ესაუბრა თბილისში მყოფ ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ბ. ვაჯპაის.

ზ. ა. პატარიძე გულთბილად მიესალმა სტუმარს და აღნიშნა საქართველოს და ინდოეთის ტრადიციული ურთიერთობა. ჩვენ მოხარული ვართ, თქვა მან, რომ თქვენ შესაძლებლობა მოგეცათ სწვეოდით ჩვენს რესპუბლიკას, გასცნობოდით მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

ზ. ა. პატარიძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მრავალმხრივ მეგობრულ ურთიერთობას, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას. ჩვენი მეგობრობა, განაცხადა მან, სორცს ისხამს მთელი რიგი კონკრეტული და დიდმნიშვნელოვანი საქმეებით. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ინდოეთის გარჯას ქვეყანად მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა ორმხრივი სახელმწიფო ვიზიტების მნიშვნელობა და გამოთქვა იმედი, რომ ა. ბ. ვაჯპაის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა და ინდოელი ხალხების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გააცნეს საქართველოს წარმატებები პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ყველაფერი, რაც თქვენს რესპუბლიკაში ყოფნისას შევიტყეთ და ვნახეთ, თქვა ა. ბ. ვაჯპაიმ, ჩვენს აღტაცებას იწვევს. ჩვენ მოგვეჯადოვა ძველი ქართული მიწა-წყლის სილამაზემ და ხალხმა. თქვენი მიღწევები ფრთას გვასხამს ჩვენც.

ა. ბ. ვაჯპაიმ აღნიშნა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს აერთიანებთ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისადმი მხურვალე მისწრაფება.

ილაპარაკა რა ინდოეთის წარმატებებზე ეკონომიკის განვითარებაში, მინისტრმა მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

ა. ბ. ვაჯპაიმ დიდი კმაყოფილება გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან გამართული საუბრების შედეგების გამო. ჩვენი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, განაცხადა ინდოელმა მინისტრმა, ურყევია. გვინდა, რომ ჩვენმა ურთიერთობამ ცხოვრების სულ უფრო მეტი დარგი მოიცვას.

საუბარზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. მ. ვორონცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ნ. გ. სუდარიკოვი.

საუბარს ესწრებოდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი, საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი თ. გ. სტეფანოვი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ნ. მელაძე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ლ. ქართველიშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტ. რიგვავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე გ. ლ. ხუნდაძე.

ინდოეთის მხრივ იყვნენ ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ი. ქ. გუჯრალი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი ლ. ს. მეჰტა, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ა. რ. დეო და სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

## მ. ს. სოლომენცევი ნოვოსიბირსკის ოლქში

ნოვოსიბირსკი, 15 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი 14-15 სექტემბერს ნოვოსიბირსკის ოლქში იმყოფებოდა.

იგი იყო მთელ რიგ მეურნეობათა მინდვრებსა და ფერმებში, გაეცნო მოსავლის აღების სამუშაოებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის მიმდინარეობას, ესაუბრა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების, პურის მიმღები პუნქტების მშრომელებს. პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

დღეს პარტიის საოლქო კომიტეტში გაიმართა ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირი. თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. მ. ს. სოლომენცევმა.

16 სექტემბერი

## „პრავდის" ფურცლებზე

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად, რომლებშიც ახალი ძალით გამოვლინდა პარტიული მზრუნველობა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად, სოფლის მშრომელები მუშათა კლასის აქტიური ხელშეწყობით საკვებწარმოების, მისი ტექნიკური განახლების ფართო პროგრამას ახორციელებენ", — წერს „პრავდა" მოწინავე წერილში „ფერმების საკვები ბაზა", რომელშიც მკაფიო მაგალითებზე ნაჩვენებია ამ დარგში მოპოვებული წარმატებები, მომავალი ამოცანების გადაწყვეტის, სიძნელეთა დაძლევის გზები.

„კონსტიტუციის წლისთავს — დამკვრელური შრომა", ამ რუბრიკით ქვეყნდება ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ეგებებიან საბჭოთა მშრომელები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთავს; აქვეა რეპორტაჟი ზღვისპირეთის მხარის მიწათმოქმედთა ალოობაზე; წერილი ვოლგოგრადის ოლქის ლითონკონსტრუქციებისა და მილების საწარმოების საქმიანობაზე და სხვა მასალები.

რუბრიკით „პარტიული ცხოვრება: აღზრდის კომპლექსური მიდგომა" გაზეთი ბეჭდავს უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის მდივნის დ. იარემჩუკის წერილს „ზრუნვითა და სიყვარულით", რომელშიც ლაპარაკია ახალგაზრდა მუშათა ცვლის მომზადებაზე; საკონსტრუქტორო ძიების მანქანური ტექნოლოგიით უზრუნველყოფაზე ესაუბრება მკითხველებს გაზეთის სპეცკორესპონდენტი ვ. რეუტი წერილში „კონსტრუქტორის თანაავტორი". აქვე, მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ წერილებში ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა „პრავდის" კრიტიკული გამოსვლების შემდეგ.

„როგორი უნდა იყოს კულტურის კერა?" — ამ რუბრიკით დაბეჭდილია ჟურნალ „კლუბ ი ხუდოჟესტვენაია სამოდეიატელნოსტ"-ის კორესპონდენტის ვ. კოუზოვას წერილი „არა მარტო კინოსეანსი"; ლატვიის კურორტ იურმალაში დანერგილი დასვენების ახალი ფორმის სიკეთეს გვაცნობს სპეცკორესპონდენტის ს. პეტუხოვის წერილი „კურორტზე ბავშვებთან ერთად".

საერთაშორისო ცხოვრების ამსახველ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს ნიუ-იორკში „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტის ტ. კოლესნიჩენკოვის სტატია „რას ამბობს საქმის ხალხი".

1943 წლის 16 სექტემბერს მოსკოვმა სალუტით მიულოცა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებსა და შავი ზღვის ფლოტს ფაშისტი დამპყრობლებისაგან ნოვოროსიისკის განთავისუფლება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება ვლადიმერ რუდნის წერილი „გულთა ხსოვნა".

ნომერში გამოქვეყნებულ ახალ ამბებს შორის არის „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტის გ. ლებანიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის გაიხსნა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ახალი სპეციალური რესპუბლიკური ჰოსპიტალი („ვეტერანებზე ზრუნვით").

ПРАВДА

## ნოვოროსიისკის გმირ დამცველებს

ნოვოროსიისკი, 15 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ძეგლი (მშენებარე მემორიალური კომპლექსის ერთ-ერთი ფრაგმენტი), რომელიც ეძღვნება სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის გმირებს — „ნოვოროსიისკის თავდაცვის მიჯნა". ათასობით ნოვოროსიისკელი და სტუმარი — გასული ომის ვეტერანები — შეიკრიბნენ ზღვის ნაპირზე, ცემენტის ქარხნების „პროლეტარისა" და „ოქტომბრის" მახლობლად, იქ, სადაც საბჭოთა მეომრებმა 35 წლის წინ ფიცხელი ბრძოლებით შეაჩერეს ფაშისტი დამპყრობნი. რომლებიც კავკასიისკენ მოიწევდნენ.

მიტინგზე გამოსულმა სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. თ. მედუნოვმა, ომის ვეტერანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ს. კოვეშნიკოვმა და სხვა ორატორებმა თქვეს, რომ ნოვოროსიისკის დამცველ გმირთა საქმენი მარად დარჩება ხალხის ხსოვნაში.

ნოვოროსიისკის დამცველთა ძეგლის გახსნას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიკოვი.

ამავე დღეს ნოვოროსიისკში გაიხსნა ფრონტელი მხატვრების, მცირე მიწის ბრძოლების მონაწილეთა გამოფენა

## ლ. ი. ბრეჟნევი:

# მშვიდობის დაცვა სოციალიზმის დაცვაა

ბელგრადი, 15 სექტემბერი. (საქდესი). იუგოსლავიის გამომცემლობებმა „გლობუსმა" და „ალფამ" ერთად გამოსცეს სერბულ-ხორვატულ ენაზე კრებული, რომელშიც შედის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები „მცირე მიწა" და „აღორძინება", აგრეთვე წიგნი „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი", რომელიც „პოლიტგამმა" მოამზადა.

იუგოსლავი მკითხველისადმი მიმართვაში, რომელიც გამომცემლობების თხოვნით დაწერა, ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს:

თქვენ რომ მოგმართავთ, კარგად ვიცი, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხალხებს არ სჭირდებათ იმისი ახსნა, თუ რა არის ფაშიზმთან ომი. სისხლმა, ერთად რომ დავღვარეთ ნაცისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ დიად ბრძოლაში, სამუდამოდ დაამოყვრა ჩვენი ხალხები. „მცირე მიწა", რომელზეც გიამბობთ ამ ჩანაწერებში, ევროპის დიდი მიწის მხოლოდ მცირე სისხლით მორწყული ნაწილია. და ეს ჩანაწერები ასევე ნაწილია განცდილის მოგონებებისა. გმირობის ხსოვნა მარტოოდენ გამარჯვებისათვის თავდადებული მეომრების, პარტიზანებისა და იატაკქვეშელების ღრმა პატივისცემის ხარკი როდია. ჩვენი ხალხების გმირობის ხსოვნა შეიცავს გაცილებით მეტს: იმის საწინდარს, რომ არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს ის, რაც გადავიტანეთ. ჩვენთვის მშვიდობის დაცვა სოციალიზმის დაცვაა, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის დაცვაა.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ იუგოსლავი მკითხველები იზიარებენ ჩემს გრძნობებს.

# მშვიდობის განმტკიცების გზით

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმება შეიძლება მშვიდობის განმტკიცების საქმის ქვაკუთხედი გახდეს, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰენრი უინსტონმა. ინტერვიუში, რომელიც 16 სექტემბერს გადაიცა სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიით, მან აღნიშნა, რომ შეთანხმების მიღწევის გზაზე არის დაბრკოლებები და ამ დაბრკოლებებს ქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების ულტრამემარჯვენე წრეები, რომლებიც აგრესიისა და ომის პოლიტიკის განხორციელებას ესწრაფვიან.

მაგრამ, თქვა ჰ. უინსტონმა, ფაქტები მოწმობს, რომ ყველა საღად მოაზროვნე ამერიკელი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების რაც შეიძლება მალე დადების მომხრეა. მსოფლიოს ბირთვული ომისაგან იხსნის მხოლოდ ამგვარ შეთანხმებათა დადება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე სიმტკიცე და შეუპოვრობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი იჩენს ამ შეთანხმებებისათვის ბრძოლაში. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხი, პირადად ლ. ი. ბრეჟნევი აქტიურად იღვწიან მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო.

ისინი, ვინც მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის იღვწის, უმრავლესობას შეადგენენ, და ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

ჰ. უინსტონმა დაგმო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ ძალებთან პირშეკრული პეკინის ჰეგემონისტური საგარეო-პოლიტიკური კურსი. მე, ხაზი გაუსვა მან, უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ხალხებმა შეიგნონ: ის, რაც ახლა პეკინში ხდება, უდიდეს საშიშროებას გვიქადის, უდიდეს საფრთხეს უქმნის არა მარტო ჩინელ ხალხს და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებს, არამედ შეერთებულ შტატებსაც და საერთოდ მთელ მსოფლიოს. პეკინის ხელმძღვანელობა აშკარად ქადაგებს ახალი მსოფლიო ომის გარდაუვალობას, ილაშქრებს განიარაღების წინააღმდეგ, ყველა იმ ცდის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოებისა და ხალხების უშიშროებას. ჩინეთის ხელმძღვანელები ქადაგებენ და ატარებენ დიდმპყრობელურ, შოვინისტურ და ანტისაბჭოურ პოლიტიკას.

ჩინეთის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შუღლი ჩამოაგდოს სოციალისტური ხალხების ოჯახში, გათიშოს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობა. მაიზმის არსი ისეთია, რომ მისთვის უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. ყბადაღებული „სამი სამყაროს" კონცეფცია ასახავს პეკინის ხელმძღვანელობის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, რომელიც ცდილობს უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი, მაგრამ ეს არავის არ ძალუძს. საღად მოაზროვნე ადამიანებმა, განაცხადა ჰენრი უინსტონმა, უნდა გააძლიერონ ბრძოლა იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ბეკე და საშიშ პოლიტიკას ადგანან.

(საქდესი).

## ეცნობიან საქართველოს

ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბ. ვაჯპაი 16 სექტემბერს განაგრძობდა თბილისის გაცნობას. სტუმარი ეწვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მცხეთაში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

საქართველოს სსრ მთავრობის სახელით ა. ბ. ვაჯპაის სადილი გაუმართეს.

კვირას ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტაშკენტს გაემგზავრება (საქინფორმი).

## ქართველ ჟურნალისტთა სტუმრები

16 სექტემბერს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი მასპინძლობდა ინდოელ კოლეგებს, რომლებიც ა. ბ. ვაჯპაის ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას. შეხვედრამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

(საქინფორმი).

ჩვენი ისტორიის წმიდათაწმიდა ადგილები

# ბელადის სახე მარად ცოცხლობს...

## ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი 40 წლისაა



შესრულდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის გახსნის მე-40 წლისთავი. ყველა მშრომელისათვის ახლობელი და ნაცნობია რუსთაველის პროსპექტზე აღმართული სადა, მონუმენტური შენობა, რომელშიც ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალია მოთავსებული. ამ ორმოცი წლის მანძილზე იგი ოთხ მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. ოთხი ათეული წელია აქ უწყვეტ ნაკადად მოდიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომ უფრო ღრმად გაეცნონ ლენინის დიად მემკვიდრეობას, კიდევ ერთხელ შეიგრძნონ ლენინური აზრის ხიდიადე.

დიდი ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოდე კაცობრიობის ნათელი მომავლისა და მშრომელთა ბედნიერებისათვის. ამიტომ ფილიალის დარბაზში შეკრებილი ოთხი ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც დიდი ბელადის უკვდავ სახელს უკავშირდება, ანდამატივით იზიდავს დამთვალიერებლებს. ამიტომაც აღვნიშნავთ დღეს ...

... არის. ამ ბოლო დროს ექსპოზიციას ბევრი ახალი ექსპონატი შეემატა, გადახალისდა და მრავალფეროვანი გახდა ცალკეული დარბაზები, გაუმჯობესდა ჯგუფების ერთდროული მომსახურება...

დიდი და საპატიო მისია აკისრია ფილიალის კოლექტივს. იგი ყოველწლიურად იღებს 200 ათასზე მეტ დამთვალიერებელს — ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, საბჭოთა ტურისტებს, უცხოელებს.

... მიღმა დიდი ბიოგრაფიის, საბჭოთის ბრძოლისა და გამარჯვების გმირული ისტორიის ფურცლებია. მუზეუმი განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალებით, იშვიათი დოკუმენტებით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებით, რომლებიც ამუქებენ ილიჩის ნათელი სახის ახალ მხარეებს. ექსპოზიციის მასალები თვალსაჩინოდ ასახავენ საქართველოში ლენინის უკვდავი იდეების გავრცელებასა და გამარჯვებას.

...

და ყოველთვის მომსვლელთა ამ დიდ არმიას მუდამ მზად, გულღიად, ბელადისებური სტუმართმოყვარეობით ეგებება ფილიალის კოლექტივი.

— ხალხის ნაკადმა განსაკუთრებით იმატა ამ საიუბილეო დღეებში, — ამბობს მუზეუმის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე, — ეს გასაგებიც ...

... ლენინის მუზეუმის ფილიალი 40 წლისაა. კოლექტივი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ერთგვარ მზად ხვდება და ჩვეული ერთგულებით ასრულებს თავის საპატიო, კეთილშობილ მისიას.

რ. ჭელიძე.

# დიდი ასტროფიზიკოსი

## აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანს — თანამედროვეობის უდიდეს სწავლულ ასტროფიზიკოსს, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს — 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს საქართველოს მეცნიერული საზოგადოებრიობა დიდი ასტროფიზიკოსის ხანგრძლივი, ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო, სამეცნიერო-ორგანიზატორული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს.

ამ სტრიქონების ავტორის თაობას კარგად ახსოვს თბილისის მკვიდრის ვიქტორ ამბარცუმიანის სასკოლო წლები. იგი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობდა და უკვე მაშინ მიიქცია ყურადღება მათემატიკის, ფიზიკისა და ასტრონომიის საგულდაგულო შესწავლითა და საიმდროოდ ახალი ფარდობითობის თეორიის დაუფლებით. შემდგომში იგი, როგორც მეცნიერი მუშაკი, იზრდებოდა და ცოდნას ეუფლებოდა მდიდარ რუსულ საბჭოთა მეცნიერების ტრადიციებზე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელგანთქმულ პულკოვის ობსერვატორიაში. უკვე იმ დროს გამოჩნდა მისი პირველი მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც შემდგომში, ათეული წლების მანძილზე, ახალი შედეგების, აღმოჩენების, ახალი მეთოდების, იდეებისა და სამეცნიერო მიმართულებების შექმნით გაღრმავდა და გამრავალფეროვნდა.

პირველ მნიშვნელოვან შედეგებს შორის დავასახელებთ მის მიერ დამუშავებულ ელექტრონულ ტემპერატურათა და კოსმოსურ ათროვან ნისლეულთა მა...

... ზიკაში, გეოფიზიკაში, მათემატიკურ ფიზიკასა და, ბოლოს, ბირთვულ ფიზიკაში.

ფუძემდებლური შრომები ეკუთვნის მას ვარსკვლავთა დინამიკაში; მის მიერ მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები გალაქტიკის არსებითი კომპონენტის — ფრიად გაუხშოებული გარემოს სახით გალაქტიკის უდიდესი სივრცეების ამვსები ვარსკვლავთშორისი მატერიის თვისებების შესწავლაში.

პრინციპულად ახალი, მნიშვნელოვანი დასკვნები მიიღო ვ. ამბარცუმიანმა ვარსკვლავთა და გალაქტიკის ევოლუციის პრობლემათა შესწავლისას. მან თვისებრივად ახალი კონცეპციები ჩამოაყალიბა და გალაქტიკური და მეტაგალაქტიკური გამოკვლევების ახალ მიმართულებებს დაუდო სათავე.

ჩვენი საუკუნის ასტრონომიის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან მოვლენად იქცა მის მიერ ვარსკვლავთა ასოციაციების აღმოჩენა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ვარსკვლავური კოსმოგო...



...

... ცა, როგორც ასტრონომებს.

მის მიერ ფორმულირებულმა გარემოს არეკვლადობის „ინვარიანტულობის პრინციპებმა" ფართო გამოყენება პოვა ასტროფი...

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

□

# შეცდომა თუ თვალის ახვევა?

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „შეცდომა თუ თვალის ახვევა?". ამის გამო პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ლ. კიბაბიძე რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილის შესაბამისად მოეწყო კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობის კომპლექსური დოკუმენტური რევიზია. შედეგები განიხილა საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის ბიურომ და სათა...

...

ნინიგორის და ბაისუბნის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ვ. გველესიანი და ა. ბარბაქაძე მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, ხოლო „საქსოფლდამზადების" ლაგოდეხის გაერთიანების თავმჯდომარეს შ. კოტაშვილს მიეთითა.

17 სექტემბერი ტყის მუშაკის დღეა



# სახალხო სიმდიდრე

ყოველი წლის სექტემბრის მესამე კვირას ჩვენი ქვეყნის სატყეო მეურნეობის მუშაკები ფართოდ აღნიშნავენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — ტყის მუშაკის დღეს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მუშაკები შრომითი აღმავლობისა და ენ...

...

პროდუქციის — მერქნის მიღებისათვის.

ბევრი რამ კეთდება დღეს ტყის შენარჩუნებისა და დაცვისათვის. რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მუშაკები დარაზმული არიან ბუნების მიერ ნაბოძები სიმდიდრის კიდევ უფრო გასამრავლებლად და გასახარებლად.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ტყეე...

...

დუშეთის, საგარეჯოს, გურჯაანის, ბორჯომის, კოლხეთის, კასპის, ახალციხის, სოხუმის, ონის სატყეო მეურნეობები, სართიჭალის სახელმწიფო სატყეო სანერგე მეურნეობა, აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობები და სხვ.

ცხადია, დათვალიერების დროს მთელი რიგი ნაკლოვანებებიც გამოვლინდა, რომელთა გამოსასწორებლად კომისიებმა წარმოადგინეს საქმიანი მოსაზრებები, წინადადებები. ისინი გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში.

...

დეპუტატი და ცხოვრება

□

# განაწესი სრულდება

ონი. (საკ. კორ.). ადგილობრივი საბჭოების საარჩევნო კამპანიის პერიოდში ამომრჩევლებმა დეპუტატობის კანდიდატებს ოთხასამდე განაწესი მისცეს. თითოეულ მათგანში აღძრული იყო ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და მოსახლეობის კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების აქტუალური საკითხები.

რაიონში იმთავითვე ჯეროვანი ყურადღება მიექცა განაწესთა დროულად განხორციელებას და სადღეისოდ მათი დიდი უმრავლესობა შესრულებულია. საყურადღებოა, რომ ბევრი საკითხი ამომრჩეველთა უშუალო, აქტიური შრომითი მონაწილეობით გადაწყდა. მაგალითად, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების ინიციატივითა და ამომრჩევლების გარჯით აშენდა ხიდი პატარა ღებში, შეკეთდა პიპილეთისა და სორგითის სასოფლო გზები, ბაჯიხევში აშენდა საავტომობილო ხიდი, ხირხონისში — წისქვილი, სოფელ გლოლაში აიგო მგზავრთა მოსაცდელი და სხვ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ყველა სასოფლო საბჭოს აღმასკომი როდი ...

# იაკობ რომანის ძე ხვედელიანი



1978 წლის 14 სექტემბერს 71 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო სამეურნეო ხელმძღვანელი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1939 წლიდან იაკობ რომანის ძე ხვედელიანი.

სიკვდილმა ჩვენი რიგებიდან გამოგვტაცა პარტიის ერთგული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, ერთი იმათგანი, ვინც მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა ჩვენი ინდუსტრიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ი. რ. ხვედელიანი 1906 წლის 15 დეკემბერს დაიბადა საქართველოს სსრ ონის რაიონის სოფელ ქრისტესში, მუშის ოჯახში. 1924 წელს მან შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა და შევიდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. ტექნიკოს-მექანიკოსის სპეციალობის მიღების შემდეგ ი. რ. ხვედელიანი სამუშაოდ გაიგზავნა ქალაქ ნოვოდნეპროვსკის კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხანაში. 1929-1931 წლებში ი. რ. ხვედელიანი უფროს ტექნიკოს-მკვლევარად მუშაობდა კომინტერნის სახელობის ქარხანაში.

1931 წელს იგი თბილისში დაბრუნდა და სწავლა დაიწყო ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს. ამავე წელს ი. რ. ხვედელიანმა მუშაობა დაიწყო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, სადაც რამდენიმე წლის მანძილზე განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ქარხნის ხელმძღვანელამდე.

პირველ მძიმე ომისშემდგომ წლებში ი. რ. ხვედელიანი დაინიშნა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა. ამ პოსტზე სრულად გამოვლინდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, უნარი — დაერაზმა კოლექტივი დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, ინიციატივიანობა, ყოველივე ახლისა და პროგრესულისადმი სწრაფვა.

მთელ თავის ენერგიასა და შემოქმედებითს ძალებს იგი მშობლიურ კოლექტივს, წარმოებას ახმარდა. მისმა სიმტკიცემ, თავდადებამ, გამოცდილებამ, პირადმა ღირსებებმა დიდად შეუწყო ხელი დიმიტროვის სახელობის ქარხნის ავტორიტეტის ამაღლებას, მისი შრომითი კოლექტივის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე გახდა.

ი. რ. ხვედელიანი განასახიერებდა საბჭოთა წარმოების ხელმძღვანელის ყველაზე საუკეთესო თვისებებს. იგი სრულყოფილად ფლობდა მართვის მეცნიერებას, იყო საინჟინრო ხელოვნების უდიდესი მცოდნე, ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებელი, პრინციპული, და კოლექტივის ცხოვრებით ცხოვრობდა.

უაღრესი მოუცლელობის მიუხედავად, ი. რ. ხვედელიანი ყოველთვის პოულობდა შესაძლებლობას შეხვედროდა ადამიანებს, ყოფილიყო მათი პირადი და საზოგადოებრივი საქმეების კურსზე. მის პიროვნებაში ერთმანეთს ერწყმოდა უდიდესი გულისხმიერება, ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა, მაღალი მომთხოვნელობა და ზნეობრივი სისპეტაკე. სწორედ ამ ღირსებებმა შეაყვარეს იგი ყველას, ვინც კი იცნობდა მას, მუშაობდა მასთან ერთად.

ი. რ. ხვედელიანი წარმატებით უხამებდა ერთმანეთს საწარმოო საქმიანობას და მეცნიერულ მოღვაწეობას. იგი ავტორია რამდენიმე შრომისა და მრავალი ნამუშევრის, დიდმნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებებისა. მას მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის", „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის", საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებები.

ი. რ. ხვედელიანი აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩეული იყო სკკპ XXII, XXIII, XXIV, XXV ყრილობების დელეგატად, სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV და XV ყრილობების დელეგატად, არაერთგზის აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად. 1954 წლიდან ბოლო დღეებამდე იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო.

პარტიამ და მთავრობამ დაუფასეს ღვაწლი ი. რ. ხვედელიანს. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, მრავალი მედლით.

ი. რ. ხვედელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა გამსჭვალული იყო კომუნიზმის საქმის, პარტიის, ხალხის საქმისადმი ერთგულებით. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება იმათ გულში, ვინც ი. რ. ხვედელიანს იცნობდა.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. ა. კაზაკოვი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ძ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჩითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ი. ს. სილაევი, ზ. გ. ახვლედიანი, გ. დ. ბაბუნია, ვ. ი. ვადაჭკორია, ვ. ს. კოტლიარენკო, ვ. ი. ლომაძე, ს. ტ. რიგვავა, ტ. ვ. როსტიაშვილი, მ. ა. ცხადაია.

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისაგან

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 71 წლისა გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, თვალსაჩინო სამეურნეო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი

იაკობ რომანის ძე ხვედელიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისაგან

საავიაციო მრეწველობის სამინისტროს კოლეგია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

იაკობ რომანის ძე ხვედელიანი

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

### ჰეგემონიზმის წინააღმდეგ

## მკაცრად გმობენ

დომინიკელი კომუნისტები გმობენ ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკას, განაცხადა დომინიკის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნარსისო ისა კონდემ, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა.

ჩინეთის ხელმძღვანელობის ეს პოლიტიკა მიმართულია კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ და შეესაბამება მსოფლიოს ყველაზე უკიდურესი მემარჯვენე ძალების და უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებს. მთელი ეს კამპანია წარმოებს ანტისაბჭოურობის ფონზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა, განაგრძო მან, ადგას აგრესიულ ძალებთან, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან გარიგების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა გამოიხატება მხარდაჭერით, რომელსაც პეკინი უწევს ლათინურ ამერიკაში პინოჩეტსა და სომოსას რეჟიმს, ცილისმწამებლური კამპანიით კუბის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ავბედითია პოლიტიკა გმირი ვიეტნამის მიმართ, ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ თავხედური პროვოკაციები.

ნარსისო ისა კონდემ ილაპარაკა დომინიკელ კომუნისტთა საქმიანობაზე, რომლებმაც მხოლოდ ახლა მიიღეს ლეგალურად მუშაობის შესაძლებლობა.

(საკდესი).

### გვეკითხებიან, განვმარტავთ

## „შავი პროპაგანდა"

პრესაში მკითხველები ხშირად ხვდებიან ტერმინს „შავი პროპაგანდა". რას ნიშნავს იგი? — კითხულობენ ისინი. ვბეჭდავთ გაზეთ „ტრუდში" გამოქვეყნებულ პასუხს ამ კითხვაზე, რომლის ავტორია საერთაშორისო მიმომხილველი, ჟურნალისტი მ. დემიჩევი.

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, „ფსიქოლოგიური ომის" დარგში პროპაგანდა, მისი წყაროების მიხედვით იყოფა „თეთრ", „რუხ" და „შავ" პროპაგანდად. უკანასკნელი, როგორც ჯერ კიდევ 1954 წელს გამოცემულ წიგნში „გონებათა ომი" აღნიშნავდა მისი ავტორი, ამერიკელი სპეციალური სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ლ. ფარაგო, იმით გამოირჩევა, რომ „იგი არასოდეს არ ამხელს თავის ნამდვილ წყაროებს. იგი ყოველთვის უნდა ამტკიცებდეს იმას, რომ მის მიერ გავრცელებული მასალები მიღებულია მტრის ტერიტორიიდან ან მასთან მიმდებარე რაიონებიდან".

რამდენადაც „წყაროები" არ მოიხსენიება, პროპაგანდის ეს სახეობა ერთიანად დამყარებულია მონაჭორზე, უბინძურეს ცილისწამებასა და დეზინფორმაციაზე. რაც შეეხება დასახელებული წიგნის ავტორის მიერ ნახსენებ „მტრის ტერიტორიას", „შავი პროპაგანდის" გამომგონებლები მასში აშკარად გულისხმობენ საბჭოთა კავშირს, მთლიანად სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, რომელთა წინააღმდეგაც არის მიმართული უპირველეს ყოვლისა მთელი ბურჟუაზიული პროპაგანდა.

დასავლეთის პროპაგანდისტული ცენტრების ნაირფერ ორკესტრში, ცენტრებისა, რომლებიც ასეთ „ინფორმაციას" ავრცელებენ, პირველი ვიოლინოს პარტიას აი უკვე რამდენი წელია ასრულებენ მიუნხენში მოკალათებული რადიოსადგურები „თავისუფლება" და „თავისუფალი ევროპა". მათ მუშაობას გულუხვად აფინანსებს ამერიკის კონგრესი, ხოლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრებში, რომელიც ამ რადიოსადგურებს არსებობის პირველი დღეებიდანვე კონტროლსა და საერთო ხელმძღვანელობას უწევს.

# ვ ი ს ა ძ ლ ე ვ ს ხ ე ლ ს?

რეპორტაჟი და ფიქრები ერთი „მისიის" მისიის ჩაშლის შესახებ

ლ. ლეროძე

## „კეთილი რჩევანი"

— აი კი ჩემი ქრისტესმიერი ძმა გახლავთ, ერლანდი...

და სტეფანემ თავით მიანიშნა გრძელთმიან ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც ის-ის იყო მორიდებით გადმოაბიჯა კარის ზღურბლს...

მაგრამ დიასახლისი არ გაუკვირებია ესოდენ მოულოდნელ და იდუმალ-უცნაურ გამოჩენას „ძმებისას", რომლებიც ერთად კი არა, რიგრიგობით შემოვიდნენ. მიხვდა: ასეა საჭირო — კონსპირაცია!..

ყველაფერი ჯერ კიდევ იქ, შინ, სტოკჰოლმში დეტალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით, შტაბ-ბინის „კეთილ რჩევათა" შესაბამისად მიმდინარეობდა. „კეთილი რჩევანი"... სწორედ ასე იყო დასათაურებული დაწვრილებითი ინსტრუქცია-დარიგებებით სავსე ფურცელი, რომლებიც მოსკოვში წამოსვლის წინადღეს მიიღო. ჯერ კიდევ იქ, შინ, ფურცელი ნაფლეთებად აქციეს. ახლა დარჩა მხოლოდ მეხსიერება. ასევე იყო მისამართების მხრივაც. სტეფანეს — ეს გახლდათ მოთავე — არავითარი ქაღალდები, არავითარი ცნობარები არ ჰქონდა, არაფერს არ ეკითხებოდა გამვლელებს, გულდაჯერებით მიდიოდა საჭირო სახლისკენ, თითქოს მთელი ცხოვრება კიევში გაეტარებინოს, სწორედ ამ უბანში. მეტროთი — „ბოლშევიკის" სადგურამდე, იქიდან კი ორიოდე ნაბიჯი „ძმა" იაკობ გავრიშევამდე.

კონსპირაციის კანონები კი მოქმედებას განაგრძობდნენ: სახლში ჯერ სტეფანე შევა, ათიოდე წუთის შემდეგ კი ერლანდი.

დიასახლისი გულითადად შეხვდა.

— დაბრძანდით, ძვირფასო სტუმრებო. გიფ სადილოთ...

მალე მოვიდნენ ივანე ლევჩუკი, მიხეილ მიხაილოვი, სტეფანესათვის ნაცნობი ადამიანები, არაოფიციალური თემის*) აქტიური მოღვაწენი. ყველაფერი, რის თქმაც საჭირო იყო მათ შესახებ, სტოკჰოლმში შტაბ-ბინაში ითქვა.

აი ოჯახის თავიც მოვიდა. ხალისიანი, საერთო საუბარი მიმდინარეობს. სტეფანე თარჯიმნობს: კარგად იცის რუსული. უსეტესად მასპინძლები ლაპარაკობენ, სტუმრები კი უსმენენ და იშვიათად შეკითხვებს იძლევიან. თავდაპირველად ბუნდოვნად ლაპარაკობენ, გადაკვრით, მაგრამ გასაგებია: მათ ხელს არ აძლევს სსრ კავშირში რელიგიური თემების რეგისტრაციის პირობები, ისინი „აქვეყნიური კანონების" წინააღმდეგი არიან. სტეფანემ რამდენიმე კითხვა დასვა, რომლებიც ემძაფურად მიიზიდობა. მან უნდა გაარკვიოს — ასე მოითხოვდა შეფი — რეგისტრირებული თემების ურთიერთობა იმასთან, ვინც კანონს ეწინააღმდეგება და რეგისტრაციაში გატარება არ სურს. მერე კი ყოველგვარი გადაკრულების გარეშე, პირდაპირ ეკითხება:

— მე მინდა მოიყვანოთ ფაქტები, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსრ კავშირში მორწმუნეთ დევნიან.

ეს ხმელ-ხმელი, მკვირცხლი კაცი წამოდგა და ხმის ამოუღებლად ბოლთა დაარტყა ოთახში. შემდეგ შეჩერდა, და კვლავ იკითხა:

— რას იტყვით?

ძმა იაკობი აბურდღუნდა, ორიოდე გვარი დაასახელა და მაშინვე საჩქაროდ დაძინა:

— ამ ხალხმა უარი თქვა ჯარში სამსახურზე, ხელისუფალნი კი ამისთვის არ მოგვეფერებიან...

ეს ლაპარაკი სტეფანეს ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს. შეთანხმდნენ, ერთხელ კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს.

ახლა კი ქალაქის მეორე ბოლოს უნდა მიაშურონ, ვერა შუპორტიაკთან უნდა მივიდნენ. კვლავ კონსპირაცია. პირველი სტეფანე შევა. თუ ათიოდე წუთის შემდეგ ვერას სახლიდან არ გამოვიდა, მაშასადამე ერლანდს შეუძლია მშვიდად იყოს: მასაც ელიან.

მადლიერებით ჩაიბარეს პროპაგანდისტული არსენალის ძირივი მასალები, ყოველივე ის, რის გამოყენებაც შეიძლება „საერო ხელისუფალთა" წინააღმდეგ. და სტეფანე კვლავ უკიოტებს — როგორი ძალთა თანაფარდობაა მორწმუნეთა შორის, იმათ შორის, ვინც ლოიალურად ეკიდება საბჭოთა ხელისუფლებას, და იმათ შორის, ვისაც არ სურს ცნოს მისი კანონები. მან დიასახლისს დაასო გაყინული, ისრებივით თვალები, რომლებსაც ბევრი რამ უნახავთ არც თუ ისე დიდი ხნის — ოცდათორმეტი წლის მანძილზე, და დათაფლული ხმით წარმოთქვა:

— ჩვენ გვჭირდება მასალები იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო დევნის რწმენასათვის. ჩვენ თქვენი ძმები ვართ, გვინდა დაგეხმაროთ...

სტეფანე ხრამა-ხრუმით ღეჭავს კიტრს — სტუმრებს გახმაში ხიარულეს — და სასწრაფოდ ინიშნავს რაღაცას თავის ბლოკნოტში.

... საღამოს სასტუმროში, ტურისტების ნომერში ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი სტეფანემ აიღო. გილაცამ ინგლისურად ტელეფონთან სთხოვა მას, თანაც ეჭვისრის ხამდვილი გვარი დაასახელა. სტეფანეს ენა მუცელში ჩაუვარდა: ყველა კიეველი ნაცნობისათვის ტურისტი „ძმა სტეფანეა", ვინ არის ეს კაცი, ხისი გვარი რომ დაასახელა? და სტეფანეს კრინტი არ დაუძრავს, სანამ არ გაიგო:

— სერვისის ბიუროდან გელაპარაკებიან.

— დიახ, დიახ... გისმენთ...

— ხვალ დილის ათ საათზე ჰოლში დაგელოდებათ გიდი. თქვენ კიევის დათვალიერებას გთავაზობენ.

სერვისის ბიუროსთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ისევე ბუნებრივია, როგორც ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. „ტურისტებისათვის" კი ეს არის გაუთვალისწინებელი გართულება საქმისა. რა უპასუხოს? მგონი, სხვა გზა არ არის.

— ო, შესანიშნავია! მალიან მადლობელი ვარ....

ემისრები, როგორც კი ფეხი დადგეს საბჭოთა მიწაზე, ადვილად მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ ისინი არავითარი ტურისტები არ არიან და სრულიადაც არ ჩამოსულან იმისათვის, რომ ბუნების მშვენიერებით ან უგგოროდის, ლვოვის, კიევის, მოსკოვისა თუ სმოლენსკის ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლებით დატკბნენ. მაგრამ ნიღაბი ნიღაბია და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. და აი, ახლა, როცა საბჭოთა კავშირში მათი ცხოვრება აღსავსეა საქმეებით, რომლებსაც საერთო არა აქვს რა ტურიზმთან, იძულებული არიან დილიდანვე გაემურონ — წყეულიმც იყოს! — ექსკურსიაზე. მშობლიურ ქალაქზე შეყვარებული ახალგაზრდა გიდი აღტაცებით ლაპარაკობდა ძველ კიევზე, ხან ისტორიაში ჩაიყურყუმალავებდა, ხან კვლავ უბრუნდებოდა დღევანდელ დღეს. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად გიდს არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, რომ მისი უცხოელები არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ ექსკურსიისადმი. სტუმრები ისე იქცევიან, თითქოს იძულებით წამოეყვანოთ. სტეფანე დემონსტრაციულად დასცქერის საათს და აგრძნობინებს: „მადლობა, ახალგაზრდავ, დროა..."

ცამეტ საათზე ისინი დაუფარავი სიხარულით გამოეთხოვნენ თავიანთ გიდს. ეს მათი პირველი და უკანასკნელი ექსკურსია იყო სსრ კავშირში ყოფნის მთელი 12 დღის მანძილზე. რა ჯანდაბად უნდათ მათ მშვენიერი დნეპრი, ფაშიზმისაგან კაცობრიობის ხსნისათვის დავარდებული ჯარისკაცის საფლავის მარადიული ცეცხლი? უსაქმურები ხომ არ არიან. ერთი საათის შემდეგ ვერა შუპორტიაკის ბინაში მეტად საქმიანი პაემანი აქვთ დანიშნული. იქ მობრძანდება „წამებულის", ქადაგის გიორგი ვინსის ცოლი, სწორედ იმ ვინსისა, რომელიც მსჯავრდადებულია საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების სახელის გამტეხი აშკარად ცრუ მონაჩმახის გავრცელებისათვის.

## წიაღსვლა პირველი

საბჭოთა კანონები გამორიცხავს მორწმუნეთა უფლებების რაიმე შელახვას, რელიგიური ოჯმესისათვის მოქალაქეთა დევნას. მაგრამ ჯერ კიდევ „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის" დეკრეტში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ რელიგიური წეს-ჩვეულებების თავისუფალი აღსრულება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც ეს არ დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, არ ხელყოფს მოქალაქეთა უფლებებს. და ყოველგვარი ასეთი დარღვევა ხელისუფლების ორგანოებს უფლებას აძლევს საჭირო და ზოგჯერ ფრიად მკაცრ ღონისძიებებს მიმართონ. ღონისძიებებს მიმართეს გიორგი ვინსის, თვითმარქვია, ეგრეთ წოდებული „ეკლესიათა საბჭოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელის წინააღმდეგაც.

საბჭოთა სასამართლომ ვინსი პირველად 1966 წელს დასაჯა საიდუმლო გამოცემის „პრაქტიკულ ლისტკის" („მმათა ფურცლების"), ჟურნალ „ვესტნიკ სპასენიას" („ხსნის მაცნეს") ორგანიზაციისათვის, რომელშიც მოუწოდებდნენ არ შეესრულებინათ საბჭოთა კანონები რელიგიური კულტების შესახებ, ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ მონაჩმახს, რომლებიც ჩირქს სცხებდა ჩვენს სახელმწიფოს. ფრიად მორეულ ადგილებში სამი წლის ყოფნის შემდეგ იგი კიევს დაუბრუნდა. მან არ ისურვა ეცხოვრა ისე, როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს. და უწინარეს ყოვლისა არ ისურვა შრომა. უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერი მუქთახორა გახდა. მაგრამ ოჯახი, ახალგაზრდა ცოლი? და აი, მან მოზრდილი ხარკი დაადო ერთმორწმუნეთ. იგი არსად არ მუშაობდა და განაგრძობდა თავის საძრახის საქმიანობას.

ვინსი არალეგალურ კრებებს აწყობდა და ეწეოდა ქადაგებას, რომელშიც რელიგია მხოლოდ ნიღაბი იყო ეკლესიისადმი საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესახებ ცილისმწამებლური მონაჩმახებისათვის. შუპორტიაკის კერძოლი ვინსის ძეობებით გადაიქცა ფანატიკოსთა თავყრილობად, რომელზეც იგი, ვინსი, ქადაგი, ყამქუზებლურ სიტყვას ამბობს და „ძმებსა" და „დებს" მოუწოდებს არ შეასრულონ საბჭოთა კანონები, მონაწილეობა არ მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სრულიად გაემიჯნონ საზოგადოებას. მსმენელთა შორის კი ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი იყო. ეს ძალზე ხელსაყრელია მისთვის. მან თვითონ იზრუნა, რომ აუდიტორია ასეთი შემადგენლობისა ყოფილიყო.

მოძღვარი პროვოკაციებსაც კადრულობდა: საბჭოთა არმიაში მსახურობდა ჯარისკაცი ივანე მოისეევი, იგი მორწმუნე, ბაპტისტთა ოჯახიდან იყო. კარგად მსახურობდა, რამდენჯერმე გამოუცხადეს მადლობა და წაახალისეს კიდეც — ათი დღით გაუშვეს შინ მშობლების სანახავად. და აი, ერთხელ ტრაგედია მოხდა. ჯარისკაცი აზოვის ზღვაში ბანაობდა, ქერჩის მახლობლად, და დაიხრჩო. ყველანი, ვინც იმ დროს ნაპირზე იყო — დამსვენებლები, ექიმები, ადგილობრივი მცხოვრებნი — სამ საათზე მეტხანს ცდილობდნენ სიკვდილისაგან ეხსნათ ჯარისკაცი. ვერ გადაარჩინეს. როგორც კანონი მოითხოვს, იყო ექსპერტი, საგამოძიებო ორგანოებმა ოპერატიულად გამოიძიეს ეს სამწუხარო ამბავი და დაადგინეს: საბედისწერო შემთხვევითობა. ივანე მოისეევის ამხანაგებმა, რომლებიც მასთან ერთად მსახურობდნენ, დაუყოვნებლივ აცნობეს მშობლებს, სამძიმარი გამოუცხადეს, და ივანეს კუბო გაიგზავნა მოლდავეთში, სოფელში, სადაც განსვენებულის დედ-მამა ცხოვრობდა. და აი, სწორედ ამ დროს სარბიელზე გამოჩნდნენ ვინსი და ძმანი მისნი. სასწრაფოდ შეთითხნეს ყალბი ვერსია „ჭაბუკი ქრისტესმიერი ძმის მოწამებრივი სიკვდილის" შესახებ, შექმნეს ასეთივე ყალბი დოკუმენტები: ივანე რწმენისათვის ეწამა, ჯარში სიკვდილამდე მიიყვანესო.

პრესაში გამოჩნდა საბჭოთა მეომრების გულისწყრომით აღსავსე წერილები, რომლებშიც გმობდნენ ცილისმწამებლურ მონაჩმახს. პრესაში გამოვიდა განსვენებული ჯარისკაცის ძმაც სიმონ მოისეევი. „არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო, — წერს იგი, — როცა ვიღაც-ვიღაცეები რაღაც სისულელეებს ჩმახავენ, ხელყოფენ ჩვენს საბჭოთა წყობას, ჩირქს სცხებენ საბჭოთა ადამიანებს". სიმონმა ამხილა პროვოკატორები. დაკრძალვაზე ისინი ხალხს ხელში სჩრიდნენ სუფთა ფურცელს და მოითხოვდნენ ხელი მოეწერათ. შემდეგ კი უკვე ვინსის „აპარატი" ამოქმედდა. დასავლეთში ხელიდან ხელში გადადიოდა „მშობლების და თანასოფლელების" სახელით შეთითხნილი ყალბი „ივანე მოისეევის საქმე". პროპაგანდისტული აურზაურის ექო მოედო მრავალ ქვეყანას: „ჯარისკაცი ივანე მოისეევი რწმენისათვის ეწამა". სადღაც იბეჭდება ვინსისა და მისი თანამოსაგრეების მიერ მომზადებული ფურცლები, რომლებსაც ფარულად გზავნიან დასავლეთში. „მოისეევის საქმე" ცილისმწამებლური სტატიებისა და დასავლეთის ნაირნაირი „ხმების" რადიოგადაცემათა № 1 თემა ხდება.

პროვოკაციის ორგანიზატორებს „ნიჭიერი მოწაფენი" გამოუჩნდნენ. შედარებით ცოტა ხნის წინათ ვინსის ერთ-ერთი თანამოსაგრე, ვინმე ბიბლენკო, თავის საქმეზე კრივოი როგიდან მეზობელ ქალაქში გაემგზავრა ტაქსით. ტაქსისტმა კიდევ სამი მგზავრი ჩაისვა. ფეხებზე დაიკიდა საგზაო მოძრაობის წესები და „გაქუსლა". მოხდა ავარია: ტაქსი შეეხეთქა „ზილს", შესკდა, ფორანი გადაბრუნდა. სამი მგზავრი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში, ბიბლენკო კი დაიღუპა. და აი, კვლავ ყველაფერი ერთხელ უკვე დაწერილი ნოტებით მეორდება. ადგილობრივმა პრესვიტერმა პეტრაკოვმა თავის ძმებსა და დებს ჩაწვეტხადა: „ეს ავარია ხელისუფლების ორგანოებმა მოაწყვეს. ვილოცოთ ძმისა ჩვენის ბიბლენკოსათვის, რომელიც რწმენისათვის დაიღუპა." განსვენებულის ქალიშვილსაც ჩადაუციდა: „პროტესტი დაწერეო". რა უნდა დაეწერა, — უპასუხა ქალიშვილმა, — სასამართლოში ყველაფერი გაირკვევაო". მაგრამ პეტრაკოვს ხელს არ აძლევს საბჭოთა სახალხო სასამართლო. ეს ხომ ღვთის სამსჯავრო არ არის. და აი, საიდუმლოდ აგროვებენ ხელმოწერებს პროვოკაციულ მიმართვაზე. და რა თქმა უნდა, ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ეს მიმართვა დასავლეთში მოხვდეს და სამსახური გაუწიოს ანტისაბჭოელებს. რაც შეეხება სასამართლოს, პეტრაკოვს არც აქ დაუკლია ხელი — მან განსვენებულის ცოლს აუკრძალა სასამართლოში მისვლა — ეკლესიისაგან მოგკვეთო. მაგრამ როგორ შეიძლება ცოლი სასამართლოს არ დაესწროს. ვინ აღძრავს სამოქალაქო სარჩელს?..

ამასობაში კი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები იღებენ გაოცებით აღსავსე წერილებს: „ეს როგორ ხდება, რომ ჩვენს მიწაზე დაბოგინობს მუქთახორა, არსად არ მუშაობს, მყრალ საქმეებს სჩადის და შეძლებულადაც ცხოვრობსო?". ინჟინერ ვინსს წინადადება მისცეს მუშაობა დაეწყო. მშვიდად, თავაზიანად განუმარტეს, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ იტანს მუქთახორებს. არაოფიციალურად მოქმედი „ეკლესიათა საბჭოს" მდივანი — ეს მუშაობა არ არის. ინჟინერმა ვინსმა უარი თქვა დამორჩილებოდა კანონს. ვინსის პარაზიტული ცხოვრების საქმე სასამართლოში გადავიდა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. იგი სპეციალობის მიხედვით იძულებით მოეწყო სამუშაოზე. მორწმუნეთა ხარჯის ხარჯზე ათი წლის მუქთახორობის შემდეგ ლაბორატორიაში მუშაობა აუტანლად მოეჩვენა. და სამი თვის შემდეგ ქადაგი წარმოებიდან გარბის, ოჯახსა და მართლმსაჯულებას ემალება. ამერიკის ქალაქ ჩესტერში გამომავალმა ჟურნალმა „პისლანეც პრავდიმ" („სიმართლის მოციქულმა"), რომელიც ანტისაბჭოელებისა და უკრაინული ნაციონალისტური ცენტრების სახსრებით გამოდის, მწუხარებით აცნობა მკითხველებს, რომ საბჭოთა დილეგებში შიმშილით „გმირულად დაიღუპა" ორი თვალსაჩინო „სარწმუნოების მებრძოლი" — გ. ვინსი და ი. ბონდარენკო: „ამ სახელოვანმა გმირებმა დაგვიტოვეს არა მარტო დიდი საფლავები, არამედ ევანგელისტური სარწმუნოებისათვის ბრძოლაში ამაღლებული სულის შთამაგონებელი მაგალითებიც". „სახელოვანი გმირი" გ. ვინსი კი ამასობაში მხიარულად ქეიფობდა „ძმისა" თვისისა ა. ბონდარენკოს ქორწილში...

მაგრამ მართლმსაჯულებას დიდი ხნით ვერ დაემალა. გაიმართა სასამართლო და ვინსს მსჯავრი დასდეს. დასავლეთში კი კვლავ ატყდა აურზაური, ისტერიკაში ჩავარდნენ პროფესიონალი ანტიკომუნისტები, რომლებიც საკლესიო წოდებით ინიღბებიან, ყოველგვარი ფალსიფიკაციის, იდეოლოგიური დივერსიების ოსტატები: „იხსენით ვინსი".

რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს, რომელ ზარს უნდა შემოჰკრან, რომ რაც შეიძლება დიდი პოლიტიკური კაპიტალი მოიპოვონ „ვინსის საქმით", — აი რა აინტერესებს ყველაზე მეტად „ძმა" სტეფანეს პასტორის მეუღლესთან საუბარში. შემდეგ დაიწყეს ბაასი ამქვეყნიურ საქმეებზე. მადამ ვინსი ჯანმრთელობას უჩივის, და სტეფანე თავაზიანად სთავაზობს: „იქნებ რაიმე შვედური წამლები გამოგიგზავნოთ? ან იქნებ, უფრო არსებითი რამ?". და გამომცდელად აკვირდება თანამოსაუბრეს. ქალის თვალებში სიხარბის ნაპერწკლები აციმციმდა. დიახ, უფრო არსებითი საზრუნავიც გვაქვს...

მათმა საუბარმა დიდხანს გასტანა, — და სტეფანე ნერვიულობს. მეტისმეტად შემჭიდროებულია „სამუშაო" გრაფიკი. დღეს კიდევ უნდა ინახულოს „ძმა" იაკობი. ნეტა მოასწრებდეს! იგი მეტროში ელოდება.

„ტურისტები" დიდხანს დაეხეტებოდნენ ქალაქის ქუჩებში — ასე მოითხოვს „კეთილი რჩევანი", — სანამ კვლავ ჩავიდოდნენ მეტროში. ერთ-ერთ სადგურზე გამოვიდნენ, ავტობუსში ჩასხდნენ და ხარკოვის გზატკეცილზე გაქროლდნენ. პატარა შესახვევი. ერთსართულიანი სახლი. აქ მათ უკვე ელოდებიან პირველი შეხვედრის დროინდელი ნაცნობები. სტეფანემ ყურადღებით გადაავლო თვალი ამ პატარა თავყრილობას: „რას იტყვით? რით გვახარებთ?".

დიდხანს ისაუბრეს, მაგრამ დღეს ეს საჩუქრებით აძლევს ხელს სტუმრებს.

...კარგად დანაყრდნენ. ბაღში გაისეირნეს. ილაპარაკეს პორტუგალიის „იბრას" რადიოსადგურის შესახებ. იგი რუსულ ენაზე გადმოსცემს რელიგიურ ქადაგებას, რომელიც ოსტატურად არის შეზავებული ანტისაბჭოურობით, სიყალბით, „ღვთის მსახურთა" მონაჭორებით. და კვლავ სასწრაფოდ იწერს ბლოკნოტში — შეფმა საგანგებოდ დაავალა: „უნდა გაიგოთ, როგორ გვისმენენ".

ჩუმად, თითო-თითოდ, ნელ-ნელა დაიშალნენ, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ.

...ღამით სტეფანე მოსპობს ყველა ჩანაწერს და მიფრით შეიტანს თავის ბლოკნოტში მთელ იმ გულისამრევ ინფორმაციას, რომელიც კიევში მიიღო საჭირო ადამიანებისაგან.

საჭირო ადამიანები! „ძმებმა" სტეფანემ და ერლანდმა და მათმა ბატონებმა იციან, ვისთან დაიჭირონ საქმე. მათ არ აინტერესებთ ჩვეულებრივი მორწმუნენი. ასე ვთქვათ, რაგითი მრევლი. „ძმებს", მათ შეფს აღრიცხული ჰყავთ პატარა ჯგუფი მეთაურთაგან, არაოფიციალური ბაპტისტური თემების აქტივისტებისაგან, მე ვიტყოდი, მორწმუნეთა ოჯახის გარეწართაგან, რომლებიც დასავლეთიდან მიღებულ ნაწყალობევს სჯერდებიან, კასკვილებითა და ცილისმწამებლური წერილებით ვაჭრობენ — თქვენ შვედური პალტო, მაგნიტოფონი მომეცით, მე კი „ჯარისკაც მოისეევის საქმეს", „ქადაგ ბიბლენკოს საქმეს" მოგართმევთ...". ამ სავაჭრო ოპერაციებს „ძმები" უაღრესად საიდუმლოდ ახორციელებენ — ერთიც ვნახოთ, მორწმუნეებმა შეიტყვეს „ვინ ვინ არის", ერთიც ვნახოთ, მათ დაინახეს მოიდარეთა, „სინდისის თავისუფლებისათვის მებრძოლთა" ჭეშმარიტი სახე! ო, რა სკანდალი იქნება! და როცა „ძმა" სტეფანე ერთს ფულს ჩასჩრის მუჭში, მეორეს კი სტოკჰოლმში შეკერილ კოსტიუმს შეაჩეჩებს, ამ აქციას უაღრესად საიდუმლოდ ინახავს. იგი შიფრით იწერს „ძმებთან" და „დებთან" საუბარსაც და მადამ ვინსთან გულისამაჩუყებელ ბაასსაც. და, რა თქმა უნდა, „ძღვენის" ანგარიშს. იმას, თუ ვის რამდენი და რით გადაუხადა: ზოგს — ტრანზისტორული მაგნიტოფონი კასეტებთან ერთად და ორი ელექტრონული საანგარიშო მანქანა, ზოგს შვედური პალტო. ეს ცილისწამების საფასურია!

„ტურისტები" ძალზე ხალისიანი გუნებით ტოვებდნენ კიევს. პროგრამა წარმატებით სრულდება. და ბლოკნოტში, რომელსაც საუთუთად ინახავენ, არის ჩანაწერები, რომლებიც მცირეოდენი გალამაზების შემდეგ, ამის ოსტატები კი ჰყავთ, შეიძლება ანტიკომუნისტების პრესისა და რადიოს გადასცენ. მართალია, ასეთი ჩანაწერები ჯერჯერობით ბევრი არ არის, მაგრამ წინ ელით მოსკოვი, იქ მთავარი შეხვედრები, მთავარი საუბრები. გზაში კი კვლავ სამუშაო. ზუსტად უნდა აღირიცხოს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოები. ეს კოლეგებს დასჭირდებათ. უნდა იცოდნენ, სად შეიძლება გააჩერონ მანქანა, რათა საჭიროების შემთხვევაში გახსნან შიგ მოწყობილი სამალავი.

(გაგრძელება იქნება).

* ეს თემები არ ცნობენ საბჭოთა კანონებს რელიგიური კულტების შესახებ.

# საერთაშორისო ცხოვრება

## პროვოკაციებს განაგრძობენ

### ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი

ჰანოი, 15 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის ჰანოის საელჩოს წარმომადგენელს გადასცეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმი, სადაც პროტესტია გამოთქმული იმის გამო, რომ ჩინეთის შეიარაღებული ძალები განუწყვეტლივ არღვევენ ვიეტნამის ტერიტორიულ მთლიანობას.

1 სექტემბრიდან მოყოლებული, ჩინეთის სამხედრო მოსამსახურეებმა უკვე რვაჯერ დაარღვიეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა კაოლანგის პროვინციის სასაზღვრო რაიონებში.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხაზგასმულია მემორანდუმში, მტკიცე პროტესტს აცხადებს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ჩინეთის მხარემ შეწყვიტოს ვიეტნამის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

## ლიბანის პრობლემა

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ურჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ექვსი თვით გაუგრძელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლიბანში მყოფ დროებითს ძალებს მანდატი, რომელიც წელს 18 სექტემბერს მთავრდება. ეს ძალები მიმდინარე წლის მარტში შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის შეიარაღებულ აგრესიასთან დაკავშირებით.

### ჩინური კედლის მიღმა

## მ უ შ ე ბ ი — საექსპორტოდ

### კვლავ უცხოეთის კაპიტალის მონოგაში

როგორც საზღვარგარეთის პრესა იტყობინება, ჰონკონგში მყოფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ ამერიკისა და ევროპის მთელ რიგ კომპანიებთან ჩინეთის მიწა-წყალზე მდებარე ბრიტანეთის ამ კოლონიაში ერთობლივ საწარმოთა მშენებლობის შესახებ. ასეთ საწარმოებს უცხოეთის ფირმები ააშენებენ და დააფინანსებენ, იაფ მუშახელს კი ჩინეთი მიაწვდის.

სამხედრო პოტენციალის გასაძლიერებლად საჭირო უცხოური ვალუტის შოვნის წყურვილით შეპყრობილი ჩინეთის ლიდერები თანახმა არიან ჩინეთის მუშათა კლასის ექსპლოატაციის უფლება მისცენ ევროპელ და ოკეანისგაღმელ მილიონერებს. ჯერ მიმდინარე წელს, წერს ჰონკონგის გაზეთი „საუთ ჩაინა მორნინგ პოსტი". ჩინელ მუშათა რიცხვი ჰონკონგში 50 ათასს მიაღწევს. პეკინი ჰპირდება, რომ უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გააფართოებს საზღვარგარეთ ცოცხალი საქონლის ექსპორტს. ჩინეთიდან იაფ მუშახელს მიიღებენ პორტუგალიის მაკაოს კოლონიის ბიზნესმენებიც, რომლის მოსახლეობა მაშინვე გაორკეცდება.

ჩინეთში ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს ის დრო, როცა მის ხალხს ულმობელ ექსპლოატაციას უწევდნენ უცხოეთის მონოპოლიები და ფეოდალური მმართველები, გაჭირვებითა და შიმშილით დევნილი მილიონობით ჩინელი კი უცხო მხარეში მიიშურებოდა. დღეს ამ შავბნელ წარსულს კვლავ გვახსენებს ოქროს ჩხრიალი, რომელსაც პეკინისათვის ნაიძულევი შრომით შოულობს მრავალი ათასი ახალი ჩინელი კული.

ვ. ტიმოშინი.

საკდესის პოლიტიკური მიმომხილველი.

### კარიკატურისტის თვალით




სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

გ. ლომიძის ნახატი.

## წითელი დროშის ორდენის 60 წლისთავი



გადავხედოთ ისტორიას... 1918 წელი. მიმდინარეობს სამოქალაქო ომი. წითელარმიელები და მეთაურები ბრძოლების დროს აჩვენებენ მასობრივ გმირობას, ვაჟკაცობას, მამაცობას. და აი ქვეყნდება სრულიად სრკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი. დეკრეტში ნათქვამია: „წარჩინების ნიშანი ენიჭება რუსეთის სფსრ ყველა მოქალაქეს, რომლებმაც განსაკუთრებული მამაცობა და ვაჟკაცობა გამოიჩინეს უშუალო საბრძოლო საქმიანობის დროს... წარჩინების ნიშნად წესდება წითელი დროშის ორდენი..." ასე დაიწყო პირველი საბჭოთა ორდენის, თავისებურად უნიკალური ორდენის, ბიოგრაფია.

სულ სსრ კავშირში საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 500 ათასზე მეტი კაცი, აქედან 238 ათასი კაცი დაჯილდოვდა დიდ სამამულო ომში. საინტერესოა, რომ გენერალ-ლეიტენანტი მ. ა. ენშინი უკანასკნელ დრომდე ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც ეს ორდენი შვიდჯერ მიენიჭა.

# ხუთგზის ორდენოსანი

1918 წლის 16 სექტემბერს დაწესებული წითელი ვარსკვლავის ორდენის სტატუსში ნათქვამია, რომ ამ ორდენით ჯილდოვდებიან მოქალაქენი, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული მამაცობა და ვაჟკაცობა საბრძოლო საქმიანობაში.

იმას, ვინც ამ ორდენს ატარებს, — წერდა სამოქალაქო ომის წლებში პირველი ცხენოსანი არმიის გაზეთი „კრასნი კავალერისტი", — უნდა ახსოვდეს, რომ იგი ატარებს იმ წითელი დროშის ემბლემას, რომელიც რევოლუციური ბრძოლის დაწყებისთანავე ფრიალებდა რევოლუციის ბარიკადებზე, თავის გარშემო იკრებდა ყოველივე საუკეთესოს, იდეურად წმინდას მუშათა კლასში, გლეხობასა და ინტელიგენციაში. მას უნდა ახსოვდეს, რომ წითელი დროშა ძვირფასია რევოლუციის თითოეული ერთგული შვილისათვის, იმიტომ, რომ იგი გაჟღენთილია მშრომელი მასებისათვის დაღუპულ მუშათა კლასის საუკეთესო შვილების სისხლით.

...თბილისში ცხოვრობს წითელი დროშის ხუთი ორდენის ორი კავალერი—გადამდგარი პოლკოვნიკები მ. ე. ზასეკინი და ს. გ. შამოვილოვი. ორივემ თავიდან ბოლომდე განვლო დიდი სამამულო ომი, ერთმა იგი კენიგსბერგში დაამთავრა, ხოლო მეორემ — ბერლინში. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივე მოჯამაგირის ოჯახიდანაა. ორივეს საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა ახალი ცხოვრების გზა. ორივემ ახალგაზრდობიდანვე ჩაიცვა წითელარმიელთა ფარაჯები და არმიაში განვლო მთელი მისი სახელოვანი საბრძოლო გზა. ორივე კომუნისტია ნახევარი საუკუნის სტაჟით. ორივე გადადგომის შემდეგ მწყობრში დარჩა და ახლაც აქტიურ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევა, ახალგაზრდა მეომრებს გადასცემს სამშობლოსადმი მამაცური სამსახურის ტრადიციებს. ორივემ მეორე სამშობლო შეიძინა საქართველოში, რომელმაც სტუმართმოყვარულად ჩაიკრა გულში თავისი დროის საუკეთესო ჯარისკაცები.

□

თბილისის ოფიცერთა სახლში ახალგაზრდა მეომრებთან შეხვედრაზე მოვიდა ტანდაბალი, ხმელ-ხმელი, მოძრავი, ენერგიული მამაკაცი, მას ვერაფრისდიდებით ვერ მისცემდით 74 წელს.

მაკარ ემელიანეს ძე ზასეკინმა არმიის სამსახური ჯარისკაციდან პოლკოვნიკობამდე, ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი საარტილერიო პოლკის, შემდეგ კი ბრიგადის მეთაურამდე განვლო.

მაკარ ზასეკინი ჰიტლერელებს ანადგურებდა ტერნოპოლთან, პერემიშლთან, ახალ ოდესასთან. აქ დაიჭრა იგი და ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზნეს. სამი თვის მკურნალობის შემდეგ აქ შექმნა მან თავისი განთქმული 103-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი და მაშინვე ბრძოლაში შეიყვანა.

1942 წლის აგვისტოში ჰიტლერელებმა, რომლებიც ცდილობდნენ ერთბაშად გაჭრილიყვნენ გროზნოსა და ბაქოს ნავთობისაკენ, მოზდოკის რაიონში თავი მოუყარეს რამდენიმე მოტორიზებულ დივიზიასა და 400 ტანკს. ტანკების წინააღმდეგ მებრძოლებს დაუსახეს ამოცანა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეეკავებინათ მტერი სტანიცების ტამბოვსკაია და კოტლიარევსკაია და დასახლებული პუნქტების ზემო და ქვემო კურპის რაიონში ჩვენი მაშველი ჯარების მოსვლამდე.

ბრძოლა ორ დღე-ღამეს გაგრძელდა. მ. ე. ზასეკინი, რომელიც ბრძოლას ხელმძღვანელობდა, ორი დღე-ღამის განმავლობაში სამეთაურო პუნქტში იყო. 103-ე პოლკმა, რომელიც მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის მრავალ იერიშს იგერიებდა, მოსპო და დააზიანა მტრის 27 ტანკი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი. მომდევნო ბრძოლაში ალპატოვკის ბაამბის საბჭოთა მეურნეობის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის კიდევ 8 ტანკი. ამ გმირობისათვის მაკარ ზასეკინს პირველი წითელი დროშის ორდენი მიეკუთვნა.

მ. ე. ზასეკინის საბრძოლო გზაზე აღბეჭდილია დიდი სამამულო ომის თითქმის მთელი მატიანე. მისი პოლკი მონაწილეობდა ბევრ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიის, ნოვოროსიისკის, ანაპის, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის. ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და სიმტკიცისათვის პოლკი აღინიშნა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებაში და მიენიჭა „ტამანის" საპატიო წოდება, ხოლო მისი მეთაური კიდევ ერთი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

მაკარ ზასეკინი 1974 წელს შედიოდა საქართველოს სსრ დელეგაციაში, რომელიც მონაწილეობდა ნოვოროსიისკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემის გამო გამართულ ზეიმობაში. იქ იგი წარუდგინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილ უფროსს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა არტილერისტთა სახელოვანი საქმეები ნოვოროსიისკისათვის ბრძოლაში და გულითადი მადლობა გადაუხადა ვეტერანს სამსახურისათვის.

ომის გზებმა ზასეკინის ტანკსაწინააღმდეგო მებრძოლები მესამე ბელორუსიის ფრონტზე მიიყვანა. მაკარ ზასეკინის ბიოგრაფიაში სამუდამოდ აღიბეჭდა ამ ფრონტის მაშინდელი სარდლის არმიის გენერლის, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ი. დ. ჩერნიახოვსკის სახელი. ქალაქ ინსტერბურგის (ახლა ჩერნიახოვსკი) ალებისას საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის მთელი ბრიგადა წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო პოლკოვნიკი ზასეკინი მეოთხე წითელი დროშის ორდენის კავალერი გახდა.

სამშობლოს ჯილდოები არ დაუშურებია მებრძოლი მეთაურისათვის, რომლის მებრძოლებმა ომის წლებში მოსპეს მოწინააღმდეგის ასამდე ტანკი და ჯავშანმანქანა. მეხუთე წითელი დროშის ორდენი მან მიიღო კენიგსბერგის (ახლანდელი კალინინგრადის) ალებისათვის. მისი საბრძოლო დამსახურება დაგვირგვინდა აგრეთვე ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

**მ. ტრასკუნოვი,**
საქინფორმის კორ.




## მეჩვიდმეტე ყაიმი

**ბაგიო.** ჭადრაკში ა. კარპოვ-ვ. კორჩნოის მატჩში მსოფლიო პირველობაზე გუშინ შედგა 23-ე პარტია. იგი ყაიმით დასრულდა. ეს უკვე მე-17 ყაიმია.

ამრიგად, ანგარიშია კვლავ 4:2 მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის სასარგებლოდ. მორიგი, 24-ე პარტია უნდა შედგეს 19 სექტემბერს. თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს.

## მეათე პარტია გადატანილია

**ბიჭვინთა.** ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილსა და მ. ჩიბურდანიძეს შორის მსოფლიო პირველობის მატჩის მეათე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, მსოფლიო ჩემპიონის ავადმყოფობის გამო გადატანილია 18 სექტემბრისათვის. თეთრებით ითამაშებს ნ. გაფრინდაშვილი.

## კვლავ მერცხლის მედლები

### მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა

**ტაშკენტი,** 16 სექტემბერი. („კომუნისტის სპეც. კორ.). ერთდღიანი შესვენების შემდეგ უზბეკეთის დედაქალაქში კვლავ განახლდა მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობანი. ტაიმ-აუტის წინ პაექრობა დაამთავრეს მორჩმა მუშკეტერებმა: მედლების ბოლო კომპლექტი დაშნით ფარიკაობაში გათამაშდა. საქართველოს ნაკრებმა (ზ. სვანიძე, ვ. ხელაძე, გ. დარბაიძე და ი. ლესხორაძე) ერთნაირი ანგარიშით (5:2) მოუგო მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებს, დაამარცხა თურქმენეთის ნაკრები (5:3) და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო ყირგიზეთის ძლიერი კოლექტივი, რომელთანაც ჩვენმა ჭაბუკებმა წააგეს ანგარიშით 1:5. **ამრიგად, ისევე, როგორც ჭაბუკმა რაპირისტებმა, დაშნით მოფარიკავეებმაც მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საერთო-გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოფარიკავეები V ადგილზე გავიდნენ.**

შეჯამდა მოკრივეთა გუნდური შედეგებიც. გაიმარჯვა უზბეკეთის ნაკრებმა. **საქართველოს გუნდი მე-10 ადგილზე გავიდა.** ჩვენმა მოკრივეებმა წინა სპარტაკიადასთან შედარებით სამი საფეხურით წინ წაიწიეს.

ასპარეზობა დაიწყეს აკრობატებმა. წყვილთა ვარჯიშში ლიდერობა ხელთ იგდეს საქართველოს წარმომადგენლებმა ს. სარაევმა და ა. ზალინიანმა, ვოგონათა ჯგუფურ შეჯიბრებაში უკრაინელთა შემდეგ მეორე ადგილზეა ჩვენი სამეული (მაია შალამაძე, მანანა მნათობიშვილი და ნანა კიკილაშვილი). გუნდურ ჩათვლაში 216,679 ქულით დაწინაურდნენ უკრაინელი აკრობატები. საქართველოს ნაკრები 209,768 ქულით ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

ასპარეზობაში ჩაებნენ ხელბურთელები, მოჭიდავეები, ფრენბურთელები და ფეხბურთელები.

**თ. გაჩეჩილაძე.**





**ენქენისთვე** ა. საკაშვილის ფოტოები

დითგან ასე იყო: ენკენისთვით იწყებოდა და იწყება ჩვენს მიწაზე ზღაპრული შემოდგომა. ეს ის დროა, როცა ბუნება ჯადოსნური ფუნჯით მოადგება ხოლმე კარს და ათასფრად აღგვაქმევინებს მამულის სიყვარულს; როცა წითლად ღვის ნეკერჩხალი, მზვარეში კი ჭიგოზე ახვეულ ვაზს ყურძნის მტევნები ახვდება.

ენკენისთვე რთველობის თვეა, ჩვენი წელგამართული გლეხკაცის ზეიმის თვეა. მზის მონაწური ხხივებით ივსება ამ დროს ხახადაფჩენილი დევისტოლა ქვევრები, „მრავალჟამიერი" გუგუნებს ზვარსა და მარანში. ეს ჩვენი ალგილის ღედის, საქართველოს სვავისა და ბარაქის, მისი ბედნიერი აწმყოსი და კიდევ უფრო უკეთესი მერმისის უკვდავი საგალობელია.

ეს ორი სურათი ფოტოკორესპონდენტმა ა. საკაშვილმა ენკენისთვეს მიუძღვნა. ზევით — ცხვრის ფარა ზამთრის საძოვრებისაკენ დაუძრავთ მწყემსებს; ქვევით — ვეება ქვევრები გარინდულან დიდი რთველობის მოლოდინში.



## ტყეო, სიცოცხლის მშვენებავ!

ტყეო! უშენოდ სიცოცხლეს
ხალისი როგორ ექნება?
შენა ხარ ჩვენი ცხოვრების
აუწერელი მშვენება.

ტყეო! უშენოდ ირემი
ბუნების რაღა შვილია?
უშენოდ შველიც და ჯიხვიც
ძალღონე გამოცლილია.

ცივადნადენი უშენოდ
ანკარა წყლებიც შრებიან,
უშენოდ ზვავთა ქუხილით
მთები ბარს ემუქრებიან.

ფერს დაკარგავენ უშენოდ
ამწვანებული ქედები,
მგოსნებიც დადუმდებიან,
სიმღერის შემოქმედები.

შენა ხარ ლალი ბუნების
გაუცვეთელი საბანი,
დგახარ სიცოცხლის დარაჯად
მზის შუქით ფოთლებნაბანი...

შენ რომ ამდენი მადლი გაქვს,
შენ რომ ამდენი სიკეთე, —
მაშინ ის რაღა კაცია,
ვინც შენ სამსხვერპლოდ
გიმეტებს.

**ვ. ხუცურაული,**
ხალხური მთქმელი, დუშეთის რაიონი, სოფელი ხორხი.



სურათზე: ეს 250 წლის ცაცხვი ამბროლაურის რაიონის სოფელ წკადისში, კოლმეურნე ქ. ლეჟავას საკარმიდამო ნაკვეთში დგას.
ს. კილაძის ფოტო.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში



# თბილისი ტაშს უკრავს

**მძლეოსანთა** საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მხტომელთა ასპარეზობამ. ეს ინტერესი იმან განაპირობა, რომ ქალთა შორის პირველობისათვის იბრძოდა მსოფლიო რეკორდსმენი ვილნიუსელი ვილმა ბარდაუსკენე, ხოლო სამხტომში — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თბილისელი ვიქტორ სანეევი. ყველა მათ ქომაგობდა და ფავორიტებმაც თავი არ შეირცხვინეს. **ბარდაუსკენემ, მართალია, ვერ შეძლო თავისსავე სარეკორდო მაჩვენებელთან (709 სანტიმეტრი) მჭიდროდ დაახლოება, მაგრამ საკმაოდ მაღალი შედეგით (682 სანტიმეტრი) სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.** ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მან კორესპონდენტთან საუბარში თქვა: **„თბილისელმა მაყურებლებმა განმაცვიფრეს, რა მხარდამჭერა სცოდნიათ. მე მათთან ვალში ვარ, ისინი ხომ ჩემგან განსაკუთრებულ შედეგს მოელოდნენ".**

სამხტომის სექტორზე ვაჟები გამოჩნდნენ. რა დასამალია და „სპორტის დედოფლის" თბილისელ ქომაგთა ერთადერთი თანაქალაქელის, ვიქტორ სანეევის გარდა ვაჟთა შორის მძლეოსნობაში საკავშირო ჩემპიონის ტიტულისათვის მებრძოლი საქართველოში ჯერ არა გვყავს.

და კიდევ ერთი, და არანაკლებ საყურადღებო. სანეევს თბილისში აქამდე არ უასპარეზია და მის თაყვანისმცემელთა ოცნებაც ახდა: ბოლოსდაბოლოს თვალნათლივ ვიხილეთ მისი ოსტატობა. სიგრძეზე მხტომელებს 6 ცდა ეძლეოდათ. აი სანეევის ექვსივე შედეგი: 16,74; 16,94; 16,89; 16,92; 17,03 და 16,99 მეტრი. თუ რა სტაბილური იყო მისი გამოსვლა, ზემოთ მოტანილი ციფრებიდანაც კარგად ჩანს. **მაშ ასე, სანეევმა თბილისში 17-მეტრიანი ზღვარი გადალახა და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა (17,03 მეტრი).** მივცეთ სიტყვა თვით სანეევს: **„მიხარია, რომ თანდათანობით სპორტული ფორმა ალვიდგინე. რახან 17 მეტრი გადავლახე, საქმე უკეთ უნდა წავიდეს. მგონი ჩემი თანაქალაქელებიც გავახარე. ფეხის გაჭიანურებული ტრავმა რომ არა, შედეგი ალბათ უკეთესი იქნებოდა... ახალგაზრდებმა თავდაპირველად მძლეოსნობაში უნდა სცადონ ძალები, სპორტის სხვა სახეობებში დასხტატება შემდგომშიც შეიძლება..."**

გუშინ კიდევ ოთხ პროგრამაში გამოვლინდნენ ჩემპიონები. გაიცანით: უკრაინელი ი. ლობინცევა (ბადრის ტყორცნა — 62,26 მეტრი), რსფსრ-ს წარმომადგენელი ა. ზაიცევი (შუბის ტყორცნა — 84,90 მეტრი), მოსკოველი ს. კრაჩევსკაია (ბირთვის კვრა — 20,70 მეტრი) და 110 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული რსფსრ-ს წარმომადგენელი ა. პროკოფიევი (13,77 წამი).

**ჯ. ენუქიძე.**



სურათებზე: ზევით — ვ. ბარდაუსკენე; ქვევით — ვ. სანეევი.



## ჩემპიონატის აფიშა

### ფინალური ასპარეზობანი

**17 სექტემბერი**

| | | |
|---|---|---|
| 14.00 — | ჭოკით ხტომა | ვაჟები |
| 17,30 — | სიგრძეზე ხტომა | ვაჟები |
| 17.45 — | 400 მ თარჯრბენი | ქალები |
| 17.55 — | 800 მ | ქალები |
| 18.00 — | 800 მ | ვაჟები |
| 18.00 — | ბირთვის კვრა | ვაჟები |
| 18.05 — | 200 მ | ქალები |
| 18.10 — | 200 მ | ვაჟები |
| 18.15 — | 1500 მ | ქალები |
| 18.25 — | 1500 მ | ვაჟები |
| 18.40 — | 400 მ. თარჯრბენი | ვაჟები |
| 18.55 — | 100 მ. თარჯრბენი | ქალები |
| 19.00 — | სიმაღლეზე ხტომა | ქალები |
| 19.05 — | 400 მ | ქალები |
| 19.10 — | 400 მ | ვაჟები |
| 19.15 — | 3000 მ წინაღობებით | ვაჟები |
| 19.20 — | შუბის ტყორცნა | ქალები |
| 19.30 — | 20 კმ სპორტული სიარული | ვაჟები |

**18 სექტემბერი**

| | | |
|---|---|---|
| 15.00 — | უროს ტყორცნა | ვაჟები |
| 16.00 — | სიმაღლეზე ხტომა | ვაჟები |
| 16.30 — | 4X100 მ | ქალები |
| 16.40 — | 4X100 მ | ვაჟები |
| 16.50 — | 4X200 მ | ქალები |
| 17.00 — | 4X200 მ | ვაჟები |
| 17.00 — | ბადრის ტყორცნა | ქალები |
| 17.10 — | 4X400 მ | ქალები |
| 17.20 — | 4X400 მ | ვაჟები |
| 17.40 — | 4X800 მ | ქალები |
| 18.05 — | 4X800 მ | ვაჟები |
| 18.40 — | 5000 მ | ვაჟები |
| 19.00 — | ჩემპიონატის დახურვა. | |

# მესამედ...

## მოჰამედ ალი კვლავ აბსოლუტური ჩემპიონია

**გამოჩენილმა** ამერიკელმა მოკრივემ მოჰამედ ალიმ სსრ კავშირის სპორტკომიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე ნათქვამი სიტყვა საქმედ აქცია: მან დაიბრუნა პროფესიონალ მოკრივეთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. ლეონ სპინკსთან მისი თხუთმეტრაუნდიანი ორთაბრძოლა, რომელიც ახალ ორლეანში გაიმართა, ალის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა.

**კრივის ისტორიაში ალი პირველია, რომელმაც მესამედ შეძლო მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონის კვარცხლბეკზე ასვლა.** მატჩი გაიმართა „სუპერსახლში" — გადახურულ სტადიონზე. შეხვედრას ესწრებოდა 70 ათასი მაყურებელი. გარდა ამისა, მატჩი ტელევიზიით გადაიცა არამარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც.

36 წლის ალიმ აღიარა, რომ იგი ასე სერიოზულად არასოდეს მომზადებულა მატჩისათვის, რომელიც მის სპორტულ კარიერაში უმთავრესი გახლდათ. სპეციალისტების შეფასებით ალი ცალკეულ მომენტებში ისევე იბრძოდა, როგორც ადრე როცა ახალგაზრდული ენერგიით სავსე იყო. უნდა ითქვას, რომ ახლანდელი მეტოქე — სპინკსი ალიზე 11 წლით უმცროსია.

ალიმ „პირველი ხელთათმანის" ტიტული 1964 წელს მოიპოვა, როცა სონი ლისტონი დაამარცხა. შემდეგ მას, ვიეტნამის ომში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს. მეორედ ალიმ ჩემპიონობა მოიპოვა 1974 წელს, როცა ჯორჯ ფორმენი გაზზივნა ნოკაუტში. წლეულს თებერვალში ყველასათვის მოულოდნელად ალიმ ლეონ სპინკსთან წააგო ორთაბრძოლა.

„მე ყველა გავაცურე, — ღიმილით თქვა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ალიმ.—ველისში საწვრთნელი ბანაკის გახსნამდე სამი თვით ადრე დავიწყე ვარჯიში".

და ეს მართლაც ასეა, — საკავშირო სპორტკომიტეტის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროსაც კი ყოველ დილით, გამთენიისას, ალის ნახავდით მოსკოვის, სამარყანდისა და ბუხარის ქუჩებში მორბენალს.

სამმა მსაჯმა, რომლებიც ქულებს თვლიდნენ (პროფესიულ კრივში ქულათა დათვლა შეესაბამება მოგებულ და წაგებულ რაუნდებს), ერთსულოვნად აღიარეს ალის გამარჯვება. ორმა ჩათვალა, რომ ალიმ მოიგო 10 რაუნდი, წააგო 4 და 1 ყაიმით დაამთავრა. მესამე მსაჯის აზრით ალიმ 11 რაუნდი მოიგო.

## იღბლიანი პირველი დღე

**სსრ კავშირის** ჩოგბურთელთა ნაკრები ჩაება დევისის თასის გათამაშების ევროპული ზონის „ა" ჯგუფის მეორე წრის ასპარეზობაში. საბჭოთა სპორტსმენები ხვდებიან მონაკოს ნაკრებს. მონტე-კარლოში გამართული მატჩის პირველ დღეს მოეწყო ერთეულთა შეხვედრები. თეიმურაზ კაკულიამ დაამარცხა ლუი ბორფიგა — 6:1, 4:6, 6:4, 6:3. ალექსანდრე მეტრეველმა სძლია ბერნარ ბალერს — 6:3, 3:6, 7:5, 6:2.

## მოკლედ

**ფეხბურთი.** კალკუტის (ინდოეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილე ერევნის „არარატმა" გზა გაიკაფა ფინალისაკენ. ერევნელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს ადგილობრივი საკლუბო გუნდი „დასავლეთი ბენგალია" — 1:0. ფინალში „არარატი" შეხვდება „მოჰუნ ბაგანს".

**ველოსპორტი.** საფრანგეთის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ლავენირი". მეათე ეტაპზე პირველი-მეოთხე ადგილები შესაბამისად დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა — რ. გალიალეტდინოვმა, ს. ჰუსეინოვმა, ა. ავერინმა და ს. მოროზოვმა. ათი ეტაპის ჯამით ლიდერობს კუიბიშეველი ს. სუხორუჩენკოვი. მეორე ადგილზეა გალიალეტდინოვი, მესამეზე — ავერინი, ხოლო მეოთხეზე — მოროზოვი. გუნდურ ჩათვლაშიც კვლავ საბჭოთა ნაკრები პირველობს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა სამრეწველო საწარმოებისათვის თავისი მასალისაგან ამზადებს ნებისმიერი ზომის ლითონის ფირფიტებს.

ანაზღაურება გადარიცხვით ხდება.

მიმართეთ მისამართით: 380096, ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, მთავარი მექანიკოსის განყოფილება, ტელ 93-93-78.

**ტელევიზია**

### 17 სექტემბერი

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი „აზოვის ზღვა", 09.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ლადო გუდიაშვილთან". (ფერადი), 10.30 — „მალვიძარა" (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი" ნახატი ფილმები „ალდარ კოსე და ბაი" და „კურდღლის ცრემლები" (ფერადი. ქართულ ენაზე), 11.20 — დოკუმენტური ფილმები „ცა დედამიწაზე იწყება" და „ამხანაგი დრო", 12.00 — „სტუმრად ზღაპართან". მხატვრული ფილმი „კუზიანი კვიცი" (მოსკოვიდან), 13.10 — მოსწავლეთათვის—„კოცონი", 13.50 — „მუსიკალური შეხვედრები" (ფერადი. განმეორებით), 14.50 — დოკუმენტური ფილმი „გატაცება" (ქართულ ენაზე), 15.10 — „ჩვენი სოფელი" სატელევიზიო პროგრამა, 15.55 — „კინოს მოყვარულთათვის", 17.35 — „საერთაშორისო პანორამა" (მოსკოვიდან), 18.00 — დღეს ტყის მუშაკის დღეა (მოსკოვიდან), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „აბა დამაცადე" (I და II გამოშვება. მოსკოვიდან), 19.00 — „კინოაფიშა", 19.30 — კონცერტი, 20.00 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" —საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30—„საესტრადო სუვენირები" (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი, 23.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. ვიდეოჩანაწერი. (ფერადი).

**მეორე პროგრამით**

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „კიკინბიანი სასწაული" (ფერადი), 19.15 — კონცერტი, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიტყვიერების მასწავლებელი".

**თეატრი**

### 17 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), დონ კიხოტი (საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სათაგური (დღისით), ორი ბანაჩენი. მუსუსი (პრემიერა).

### დაიწყო ახალი სეზონი

# „ჩვენი სუვენირები"

**გუშინ** თბილისის სახელმწიფო ცირკში ჩირაღდნები აინთო. გაიხსნა მორიგი სეზონი. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა ცირკის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ივანე ტუსკაძეს**. აი რა თქვა მან:

— უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ცირკის კოლექტივი შეეცადა წლევანდელ სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა. საამისოდ უამრავი სამუშაო შესრულდა. შეიცვალა შენობის შიდა ნაწილი. ძირითადად გაახლდა დარბაზი, კერძოდ, გამოიცვალა თალი. იგი არა მარტო ლამაზი, არამედ ისეთი მასალებით მოპირკეთდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა აკუსტიკა. ამასთანავე არენაზე

**გეპატიჟებათ ცირკის არენა**

დამონტაჟდა ახალი ფერადი ფარნები.

სეზონი დაიწყო საბჭოთა ცირკის გამოჩენილი მსახიობების გასტროლებით. „ჩვენი სუვენირები" — ასე ეწოდება დიდ საცირკო და საკმაოდ მრავალფეროვან ატრაქციონს, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მომთვინიერებელი რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ელვინა პოდჩერნიკოვა. „მხიარული დათვები" — ასე ჰქვია თვით ე. პოდჩერნიკოვას ატრაქციონს. მის ხელოვნებას კარგად იცნობენ ჩვენთან, აგრეთვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ატრაქციონი რუსულ ეროვნულ სტილშია გაფორმებული.

პროგრამაში მრავალი საგულისხმო ნომერია. მანეჟზე გამოდიან საცირკო ხელოვნების საკავშირო კონკურსების ლაურეატები მფრინავი აკრობატები ა. ლუკაშუკის ხელმძღვანელობით, აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტის ფ. ნაზიროვის მხედრული ჯგუფი, ღერძზე ტანმოვარჯიშეები, საცირკო ხელოვნების საკავშირო კონკურსების ლაურეატები—ჟონგლიორები, ველოფიგურისტები, რომელთაც ვ. ასმუსი ხელმძღვანელობს, მანეჟზე არიან აგრეთვე ლ. რაკიტინას გაწვრთნილი ძაღლები, თოლქვეშ რგოლებზე მოვარჯიშე ფილატოვები, ძალოსანი აკრობატები სდობანინი და ილიუშინი.

სექტემბრის ბოლოს საცირკო ატრაქციონის ამ პროგრამაში ჩაირთვება ქართული ცირკის პროგრამა — მხტუნავი აკრობატები კამეჩებზე თ. სამხარაძის ხელმძღვანელობით.

მანეჟის სული და გული ცნობილი კლოუნი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ბორის ვიატკინი.

მაშ ასე, თბილისის სახელმწიფო ცირკის კარი გაიღო. მხიარული ხელოვნება თავის მოყვარულებს ეპატიჟება.




თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 1978 წლის 14 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 71 წლისა გარდაიცვალა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, რომელიც უცვლელად მეთაურობდა კოლექტივს 1948 წლიდან, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1939 წლიდან

**იაკობ რომანის ძე ხვედელიანი**

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი — ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-08 99-03-05, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-65-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-80-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უ 10184
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14